ეროვნული
ბიბლიოთეკა





# დროშა

№ 12 1977 წ.
დეკემბერი

# დიდი სახალხო ზეიმი




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1977 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

ვ. გინზბურგის ფოტო.

საბჭოთა ხალხმა, ყველა ქვეყნის კომუნისტებმა, მსოფლიოს პროგრესულმა ადამიანებმა ფართოდ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი.

ოქტომბრის სახელოვანი იუბილეს ზეიმი გადაიქცა ჩვენი ხალხის მიღწევების ნათელ დემონსტრაციად, მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური წყობილების ძალისა და სიცხოველის ახალ მკაფიო დადასტურებად.

მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

მოხსენება „დიდი ოქტომბერი და კაცობრიობის პროგრესი" სხდომაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მიიღეს მიმართვები „საბჭოთა ხალხისადმი" და „მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებისადმი, პარლამენტებისა და მთავრობებისადმი".

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საზეიმო სხდომაზე შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი დოკუმენტია. მასში ნათლად და ამომწურავად არის ნაჩვენები ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მიერ განვლილი გმირული გზა, ჩვენი უდიდესი მიღწევები, ჩვენი პრობლემები და პერსპექტივები; მოხსენებაში მეცნიერულად არის გაანალიზებული საერთაშორისო ვითარება.

ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში ტრადიციისამებრ გაიმართა შთამბეჭდავი სამხედრო პარადი და მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია.

საყოველთაო-სახალხო ზეიმები მოეწყო ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა ქალაქსა და სოფელში.

საბჭოთა საქართველოში დღეს გამეფებული უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ნათელი დადასტურება იყო რესპუბლიკის დედაქალაქში გამართული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა, სამხედრო პარადი და საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

ამ საყოველთაო-სახალხო ზეიმზე საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ ნათელყვეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი მზადყოფნა — კვლავაც თავდადებით იბრძოლონ კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (492) დეკემბერი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1977.







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი



# გზა სინათლისა

დიდი ზეიმი იყო 28 ოქტომბერს საქართველოს მაღალმთიან მხარეში. ამ ღირსსახსოვარ დღეს გაიხსნა სვანეთის განახლებული ავტომაგისტრალი. სოფელ ჭვართან ახლოს, ენგურესისა და სვანეთისაკენ მიმავალი გზის გასაყართან დიდძალი ხალხი შეიკრიბა. შეკრებილთა შორის არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. კოლბინი, სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, ახლო რაიონების პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გზის მშენებლები მშრომელები, მწერლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი...

დილის 10 საათია. მესტიის № 5 საგზაო-სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელმა ვ. ჩხვიმიანმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პ. გილაშვილს უპატაკა: ჭვარ-მესტიის მაგისტრალი მზად არისო. დგება საზეიმო წუთი. ამხ. პ. გილაშვილი ჭრის წითელ ლენტს. მქუხარე ტაშით მიესალმებიან დამსწრენი გზის მშენებელთა დიდ გამარჯვებას, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ფართო მოასფალტებულ უნიკალურ გზაზე უამრავი ავტომანქანა მესტიისაკენ დაიძრა. სვანურ სოფლებში მიმავალ ავტომანქანათა კოლონებს გზადაგზა სიხარულით ეგებებოდნენ მესტიის რაიონის მშრომელები, რომლებიც დიდ მადლობას გამოსთქვამდენ პარტიისა და მთავრობისადმი ამ დიდებული საჩუქრისათვის.

რაიონის ცენტრში — დაბა მესტიაში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მესტიის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. უშხვანმა. რაიონის მშრომელებს მიესალმა და ახალი მაგისტრალი მიულოცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ჭვარ-ხაიშ-მესტიის მშენებლების, მემონტაჟეების, დამპროექტებლების, მშენებლობის ყველა მონაწილისადმი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. სარალიძემ, პარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრის პირველმა მოადგილემ ფ. კახიძემ, პარტიის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მერლანმა, გაზეთ „ახალი სვანეთის“ რედაქტორმა ვ. ხაღლიანმა, ხაიშის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ჩ. ოთხვანმა, პოეტმა ლ. სულაბერიძემ და სხვ.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

ზეიმი დამთავრდა დიდი სადღესასწაულო კონცერტით, რომელშიც რესპუბლიკის ხელოვნების ცნობილი ოსტატები და რაიონის ხალხური ანსამბლები მონაწილეობდნენ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა სოფელ ლატალში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. კოლბინი, საქართველოს კპ მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ბ. სარალიძე მშრომელებს შორის.

ლადო სულაბერიძე

## გზა

იარე ახლა, იქროლე ახლა,
სვანო, ასულო მაღალ ლილემდე.
მამულისათვის სათიბს და სახნავს
ღმერთი ნურასდროს გამოგილევდეს.

კლდეებზე წერდი ცხოვრების კანონს,
კლდის ბილიკებით ეძებდი მარილს.
ამ ახალ გზაზე იარე, სვანო,
და რეკე შენი კოშკების ზარი.

უშბას ლოჯებზე წახეულ ნისლებს
ქარი წაუღებს წარაფზე ვერძებს.
ამ გზას მკლავივით მამული გიშვერს,
რომ უფრო მაგრად მიეკრას მკერდზე.

საქართველოში გზა და წარაფი
ბევრია,
ზოგიც სისხლით ნარეცხი.
შენ ვერ ამოგწვდა შუბით არაბი,
ვერ გათბა შენი მწვანე ხარეცლით.

თავისუფლების მაღალი დროშა
გადმოფენილი გქონდა მამულში.
ამ გზიდან შენი თეთნულდი მოსჩანს,
თეთნულდი —
ჩვენი სინდის-ნამუსი.

ეს გზა კლდეებზე დახვეულია,
ვით შუქი ჩვენი დროების დიდის,
და საქართველოს
სულმთლადს, სრულიადს
მიერთმის მზორგავ ენგურის ხიდით.

დღევანდელი დღის მზით რომ აენთო,
კლდენი გაეთბო ხევთა ვიწროთა,
დედა-სამშობლომ ეს გზა, სვანეთო,
გაშლილ მკლავივით გამოგიწოდა.

კლდეებზე წერდი ცხოვრების კანონს,
კლდის ბილიკებით ეძებდი მარილს.
ამ ახალ გზაზე იარე, სვანო,
და რეკე შენი კოშკების ზარი.

წაკითხულია სვანეთის ახალი საავტომობილო გზის გახსნის საზეიმო მიტინგზე მესტიაში, 1977 წლის 28 ოქტომბერს.





# თუ მთელი ხალისებით გიყვარს...

თითქმის ასი წელი სრულდება, რაც ქართველი ხალხის მოამაგესა და პირისუფალს ნიკო ნიკოლაძეს პირველად მოუწვევია რუსი და უცხოელი სპეციალისტები მდინარე ენგურის შესასწავლად და მასზე ელექტროსადგურის პროექტის შესადგენად.

ამ იდეას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალჯერ მიბრუნებიან ქართველი ჰიდროტექნიკოსები.

მათ შორის ერთ-ერთი, ალექსანდრე ლოსაბერიძე, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წლებში გატაცებით ესაუბრებოდა სტუდენტებს მდინარე ენგურის უდიდესი ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე.

ამ შესაძლებლობათა რეალურ პროექტად გადაქცევაში სხვებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა შესანიშნავმა სპეციალისტმა ირაკლი ამირეჯიბმა. მისი სახელი უმწიკვლობისა და საქმის ერთგულების სიმბოლოდ იქცა ჰიდროტექნიკოსებისა და ინჟინრებისათვის.

საქმეს სათავეში შემდეგ ისევ ალ. ლოსაბერიძე ჩაუდგა; სულ მალე ენგურჰესის ურთულესი პროექტის მთავარ ინჟინრად თავისი მოწაფე, უკვე გამოცდილი ინჟინერი სანდრო მენაბდე. დალოცა.

ენგურჰესის პროექტი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ერთი მათგანი — სადერივაციოა, რომელსაც წყალი სათავიდან საგენერატორო სადგურამდე მიჰყავს.

სპარტაკ საბაშვილი დერივაციის მთავარი ინჟინერია.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სპარტაკი საპროექტო ინსტიტუტში „ჰიდროენერგოპროექტში" მივიდა; ეს ინსტიტუტი მთელ კავშირში შესანიშნავი კადრებით დაკომპლექტებული მეგობრული კოლექტივი იყო.

... ქვეყანა ომის ჭრილობებს იშუშებდა. აღდგენილი ქალაქები ხარაჩოებს იშორებდა, მოშლილი თუ შეჩერებული მეურნეობა ენერგეტიკულ შიმშილს მწვავედ განიცდიდა და ძველი ჰესების აღდგენისა თუ ახლის ასაშენებლად პროექტებს საჩქაროდ და გადაუდებლად მოითხოვდა.

დღისით მუშაობდნენ, საღამოთი ისევ სამუშაოზე ბრუნდებოდნენ (მომცრო ოთახში თექვსმეტამდე კაცი იჯდა). ძალზე ახალგაზრდები იყვნენ, გაჭირვებას არ ეპუებოდნენ, მუშაობის დროს ხან სიმღერა მოეძალებოდათ, ხან ოხუნჯობასა და სიცილს ვერ იკავებდნენ.

## საოქტომბრო ამბები

### მემორიალური კომპლექსი

მოძმე აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური კომპლექსი, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს — ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

მემორიალური მოედნის ცენტრში ვ. ი. ლენინის ძეგლია აღმართული, მის გვერდით კი დიდი ბელადის მუზეუმი მოთავსდება.

### „დაუვიწყარი"

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის საზეიმო დღეებში მკითხველებმა მიიღეს გამომცემლობა „მერანის" მიერ დასტამბული ფერადი ილუსტრირებული ალბომი „დაუვიწყარი" (სარედაქციო კოლეგია: გ. ბედინეიშვილი, ლ. პირადოვი, ვ. ჭიაურელი, მ. ზლატკინი, ზ. ლომიძე, მხატვარი ი. ვასილკოვსკი).

ალბომი ღრმად ასახავს მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ დღეების შთამბეჭდავ მოვლენებსა და დაუვიწყარ შეხვედრებს.




### ოთხი და

ოქტომბრის საიუბილეო დღეებში კრასნოდარის მხარის „პობედის" კოლმეურნეობის წევრს ა. ვედერნიკოვას ოთხი ტყუპის ცალი ქალიშვილი შეეძინა.

დედა და ახალდაბადებულები თავს კარგად გრძნობენ.

კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს, ა. ვედერნიკოვას გაზრდილ ოჯახს ახალი სახლი აუშენონ.

### ახალი ხიდი

ფოთელმა მშრომელებმა კარგი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს — მწყობრში ჩადგა ახალი ხიდი მდინარე რიონზე.

ახალმა ხიდმა ქალაქის ცენტრი მოხერხებულად დააკავშირა ნავსადგურთან.

ხიდის სიგრძე 120 მეტრია, სიგანე — 25 მეტრამდე.

### სპორტის მოყვარულთათვის

მოძმე უკრაინას საოქტომბროდ ახალი სპორტული ნაგებობები შეემატა:

სიმფეროპოლში ამოქმედდა კეთილმოწყობილი დიდი სპორტული კომპლექსი, კიევში „დინამოს" სტადიონთან აშენდა ახალი პავილიონები

არ ახსოვთ ცუდად დამუშავებული კვანძისათვის, ან ანგარიშებში დაშვებული შეცდომისათვის, ან სამუშაოს დაგვიანების, ან უდროო ოხუნჯობისათვის სპარტაკს შენიშვნა მიეღოს.

... გუმათჰესებს აპროექტებდნენ. მდინარე რიონზე აგებული ორივე ჰესი ქვეყნის სამსახურში დღესაც პირნათლად დგას. სპარტაკი „გუმათ I-ის" კაშხალს ანგარიშობდა, მერე საგენერატორო შენობას აპროექტებდა. სპარტაკს პროექტი დასრულებული არ ჰქონდა, უფროს ინჟინრად რომ გადაიყვანეს; ეს არავის გაჰკვირვებია.

მიუხედავად ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის უნიკალურობისა, მიუხედავად მიწისქვეშა ელსადგურის უჩვეულო სიდიდისა, ღრმად განლაგებისა, და უამრავი საკითხის სხვადასხვა სპეციალისტებთან შეთანხმების აუცილებლობისა, დერივაციის მშენებლობა სირთულით არც ერთს არ ჩამოუვარდება. არ ჩამოუვარდება არა იმიტომ, რომ მისი სიგრძე თხუთმეტ კილომეტრს ეთანადება, ხოლო დიამეტრი ცხრანახევარ მეტრს, არც იმიტომ, რომ ჩვენს კავშირში ასეთი პარამეტრების გვირაბი ჯერ არ აშენებულა, ხოლო პირველობა ყველგან და განსაკუთრებით ჰიდროტექნიკაში ძნელია, არამედ იმიტომ, რომ გვირაბის ტრასა ისეთ კლდეებში გადის, ისე ხშირად აწყდება კარსტულ მღვიმეებს, სუსტ ქანებსა და სხვა მოულოდნელ წინაღობებს, რომ უკვე დამუშავებული პროექტი ახალ-ახალი საკითხების ელვისებურ და გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს.

სპარტაკ საბაშვილი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გვირაბმცოდნეა.

რა საკითხიც არ უნდა წამოიჭრას მშენებლობაზე: ასსამოცმეტრიანი სიღრმის სადაწნეო კოშკის ზედა ორმოც მეტრზე მოსაპირკეთებელი ლითონის (რაკი დიდი წნევა არ ვითარდება) მოხსნა და სადრენაჟო არხებით დაქსელვა, დასაბეტონებელი კარსტის ბეტონის საცობის სისქის შემცირება, კლდესა და ბეტონს შორის დარჩენილი სიცარიელის შემოწმება-შევსება თუ მეორადი ცემენტაციის მოხსნა, სპარტაკ საბაშვილისათვის მოულოდნელი არაფერია; მისი პასუხი და გადაწყვეტილება მუდამ საფუძვლიანადაა მოფიქრებული, დამუშავებული, შემოწმებული.

მასწავლებლებსა თუ უფროსებს სპარტაკის ეს თვისებები თავიდანვე შეემჩნიათ.

მისი მეგობრები, ენგურჰესის დერივაციის პროექტის მთავარ ინჟინრად მისმა დანიშვნამ, დიდი ჰიდროტექნიკოსების გვერდით მისმა ამოყენებამ გააოცა... ალბათ იმიტომ, რომ ისევ ახალგაზრდად ეგულებოდათ და თურმე ნუ იტყვით, წლებს, ცოდნასა და გამოცდილებას უკვე დაუმძიმებია სპარტაკის მხრები.

* * *

შესწრებიხართ როდისმე გემების გასატარებლად ხიდის შუაზე გადახსნის დიდებულ სანახაობას? როცა თქვენ თვალწინ სასწაული ხდება, როცა ფეხებქვეშ მიწა გეცლებათ, რადგან ის ხიდი ახლა თავისი ორივე ნახევარი მლოცველის ხელებივით ზეცისკენ რომ აღუმართავს, სულ ცოტა ხნის წინათ ფეხებქვეშ გაგებულ მიწად გემსახურებოდათ.

თუ ეს გინახავთ, ადვილად წარმოიდგენთ სადერივაციო გვირაბში ამაღლებულ სადგარზე შედგმულ ვეება ძარას, რომელსაც გოლიათი „კრაზი" უკუსვლით მიადგა და ათ ტონაზე მეტი ბეტონი იმ ძარაში ჩააპირქვავა. მერე ნება-ნება ჩამოჰყვა რელსზე დადულებულ არმატურის ფერდობს. სადგარზე შედგმულმა ძარამ კი შუაზე გადახსნილი ხიდის სასწაული გაიმეორა. ჰიდრავლიკურმა დგუშებმა კისრები დაიგრძელეს, ძარის გათავთავებული ნახევრები ზეაღმართეს; ბეტონი მაშინვე გვირაბის კედლებზე ფარებივით აფარებულ ყალიბში ჩასრიალდა.

ასე დაიწყო სადერივაციო გვირაბის ქვედა ნახევრის, ანუ უკუთაღის დაბეტონება.

სადერივაციო გვირაბის ზედა ნახევარსფერო ჩელიაბინსკის ქარხნის მიერ დამზადებული გადასაადგილებელი ყალიბით დაბეტონდა.

ქვედა ნახევარსფეროს დაბეტონება ლამის შეუძლებელ საქმედ იქცა.

ხის ქარგილების წარამარა გადაადგილება არ ხერხდებოდა. არადა თხუთმეტკილომეტრიან გვირაბში ყოველ რვა-ათი მეტრისათვის ხელახლა ხომ ვერ ამოიყვანდნენ ხის საყალიბე ნახევარწრეს? უკუთაღის დაბეტონება გვირაბის ნომერ პირველ პრობლემად იქცა.

მშენებლობის თანამედროვე დონე ფასკუნჯივით მთლიანად ნთქავს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ ძალასა და ენერგიას. ისეთი დიდი და ხანდაზმული მშენებლობა, როგორიც ენგურჰესია, დიდ გამოცდილებას სძენს მშენებლებს, მაგრამ დიდადაც ჩამოარჩენს ხოლმე. სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ტექნიკურ პროგრესს ფეხს ვეღარ უწყობენ და მათი შემოქმედებითი ძალებს მხოლოდ ზევიდან, რომელიღაც ინსტიტუტიდან შეთავაზებული ტექნიკის დანერგვაშიღა პოულობს გამოხატულებას.

უკუთაღის დასაბეტონებლად არავის არაფერი შემოუთავაზებია.

უკუთაღის დასაბეტონებელი კონსტრუქცია აქ ადგილზე, ძალოვანი კვანძის მშენებელთა ძალით, ძალოვანი კვანძის სამმართველოს მთავარი ინჟინრის მოადგილის ზურაბ ვაჩაძის პირადი თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით დაპროექტდა და ძალოვანი კვანძის ერთ-ერთი სამმართველოს „ჰიდრომონტაჟის" მიერ აეწყო და დამონტაჟდა.

როცა უკან დარჩა ძიებისა და თავისტეხის დღეები, როცა ბოლოსდაბოლოს მიგნებულ იქნა ერთი შეხედვით უბრალო დეტალი, აგრეგატის გადასაადგილებლად „ტუ-104-ის" თვლების გამოყენებისა (რადგან თვით აგრეგატი 40 ტონამდე იწონის, ყველაზე ტვირთგამძლე თვლები ბელაზისა რამდენიმე წყვილი უნდა ჩამწკრივებულიყო და მაშასადამე იმდენივე ღერძით გართულებულიყო), როცა უკვე დამთავრებული კონსტრუქცია მეათე სანგრევის შესასვლელს მიადგა, მისი შიგ შეტანა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა.

ზურაბ ვაჩაძე საოცრად ადვილად ათავსებს ხასიათის სირბილეს მტკიცე ნებისყოფასთან, ადამიანების მიმართ დამთმობი და დიდსულოვანი, საკუთარი თავისა და საქმისადმი დაუჯერებლად მომთხოვნი, მკაცრი, ჯიუტი და მაძიებელია.

მის მიერ შექმნილი აგრეგატი გარეგნულადაც ძალზე შთამბეჭდავია. ალბათ, ამის გამოხატვა უნდოდათ მიწისქვეშელებს, როცა ზედ დიდი ასოებით წააწერეს: „ზურაბ ვაჩაძის სახელობის გვირაბმავალი".

ზურაბმა წარწერას ჩაუარა და შემდუღებელს წაადგა თავზე.

— ეს როგორ დაგიდუღებია ძელი. განა არ იცი, საყრდენზე რომ მღუნავი მომენტი ნულს უდრის? ამის მაგალითად მანქანის ღერძიც გამოგადგებოდა, შუაწელი ბოლოებზე რამდენით მაღალი აქვს.

შემდუღებლისათვის ამის ცოდნა, ალბათ, სავალდებულო არ არის, მაგრამ ზურაბ ვაჩაძეს ადამიანისა და საქმის ყველაზე დიდ მტრად გულგრილობა მიაჩნია; რამეთუ შენი საქმე მთელი არსებით გიყვარს, ეს სიყვარული შეუძლებელს შეგაძლებინებს!

მედეა შავლიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმიანი ამბები

ლვოვის ოლქში კი მწყობრში ჩადგა საბაგირო გზა, რომელსაც სათხილამურო სპორტის მოყვარულები რამდენიმე წუთში აჰყავს თოვლით დაფარულ მთების მწვერვალებზე.

### პირველი ადგილი

საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს" კოლექტივმა სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან.

მიმდინარე საიუბილეო წლის მესამე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, ნაკისრი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის პირველი ადგილი, გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭათ „საქმთავარენერგოს" შემდეგ საწარმოებს: ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესსკასკადი № 1, თბილისის ელექტროქსელს.

### ახალი სასტუმრო

თელავის მშრომელებმა შესანიშნავი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს — საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი კეთილმოწყობილი სასტუმრო „კახეთი".

ცამეტსართულიან სასტუმროში ერთდროულად სამასამდე სტუმარი შეიძლება მოთავსდეს.



### გრაფიკის გასწრებით

მეათე ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობაზე — სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მეორე ენერგობლოკის ქვაბულის მშენებლობა.

ყველა სამუშაო გრაფიკის გასწრებით სრულდება. მშენებლებმა და მემონტაჟეებმა წლიური დავალება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის გაანაღდეს.

### დიდი და კეთილმოწყობილი

მოსკოვში, ბაუმანის ქუჩაზე გაიხსნა ცირკის შენობის მსგავსი საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც ყველაზე დიდი და ყველაზე კეთილმოწყობილი ბაზარია დედაქალაქში.

ამჟამად მიმდინარეობს კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობა; სწრაფად შენდება მოხდენილი სასტუმროები და მაღაზიები.



# ოდა ლენინს

პაბლო ნერუდა



(ფრაგმენტი პოემიდან)

□

შენ რომ გიმღერო,
უნდა სიტყვებს დავემშვიდობო,
და უნდა ვწერო
მე ხეებით და ჭირნახულით,
ბორბლებითა და სახნისებით,
ბრძენო ლენინო!
ვითა საქმენი მიწაზე ქმნილნი
ზუსტი ხარ, ზუსტი,
ვითარცა თვითონ დედამიწა —
თბილი, უბრალო.
არ არსებობდა არასოდეს მეორე კაცი,
უფრორე მეტად მიწიერი,
ვიდრე ვლადიმერ ულიანოვი.

არიან ქვეყნად ძლიერ მაღალნი,
შეჩვეულები მსგავსად ცისფერ ეკლესიათა,
ჩუმსა საუბარს მხოლოდ ღრუბლებთან.
არიან ქვეყნად ის მაღალი მარტოკაცები.

ამ მიწიერმა კაცმა კი, ვისაც
ლენინი ერქვა, ხელშეკრულება,
ხელშეკრულება დადო მიწასთან.

შორსმჭვრეტელობით მას ვერავინ შეედრებოდა.
ადამიანი, მდინარეწი, ბორცვები და ლაღი სტეპები,—
გადაშლილი წიგნი იყო მისთვის მარადის
და კითხულობდა იმ მიწიერ წიგნს ჩაფიქრებით.

შორი სივრციდან შეეძლო მას ამ წიგნის კითხვა,
ყველაზე ნათლად კითხულობდა, ყველაზე წრფელად.
და მისი მზერა ღრმად იჭრებოდა მშობლიურ ხალხში
ადამიანის ფარულ სიღრმეს წვდებოდა იგი,
ადამიანში, როგორც ჭაში იცქირებოდა,
და მას იკვლევდა, ვითა ძვირფას წიაღისეულს,
უცნობ მინერალს, შეუსწავლელს და აღმოუჩენს,

ის იყო თვითონ აღმომჩენი უპირველესი,
ის, ვისაც უნდა ამოეღო წყალი იმ ჭიდან,
ამოეზიდა ვით სინათლე ჩაუქრობელი,
ვით საიდუმლო და ნანატრი, ძვირფასი განძი,
რათა ყოველი ამა ქვეყნად ჩასახულიყო,
და შობილიყო მერმე მზეში გაზაფხულისა;

იმ ჟამისა და მიწის ღირსად რომ ქცეულიყო,
ბრძოლით დაღლილი და მაშვრალი ადამიანი.

□

ცოდნისა და ენერგიისთვის,
მადლობელი ვართ შენი, ლენინო,
ამ დაუვიწყარ სიმტკიცისათვის, —
ლენინგრადისთვის და სტეპებისთვის,
ამ ბრძოლისა და მშვიდობისათვის,
დაუსრულებელ ყანებისათვის,
მადლობელი ვართ შენი, ლენინო,
გმადლობ, ლენინო, სკოლებისათვის,
გმადლობ, რომ ისმა დედამიწაზე,
ხმა შეუდრეკი, მამაცი და თავგანწირული,
შენი პატარა და ტიტანურ ჯარისკაცების;
მადლობელი ვარ, მადლობელი, ლენინო, შენი,
ამ ჰაერისთვის, შენს მიწაზე რომელსაც ვსუნთქავ,
რომელიც არ ჰგავს არც ერთ სხვა ჰაერს —
სივრცეა იგი, თბილი, კეთილსურნელოვანი,
და უსრულია ელექტრობა,
ძლიერ მთათა შორის შობილი.

გმადლობ, ლენინო,
ჰაერისათვის და პურისათვის.
და იმედისთვის, იმედისთვის,
ლენინო,
გმადლობ!

ესპანურიდან თარგმნა
ლია ჭავჭავაძემ

## სიტყვა პაბლო ნერუდაზე

დიდი მეგობრობა აკავშირებდა ერთმანეთთან ჩილელი ხალხის ორ გამოჩენილ მოღვაწეს — ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ლუის კორვალანს და თანამედროვეობის უდიდეს პოეტს პაბლო ნერუდას.

ვაქვეყნებთ ნაწყვეტს ლუის კორვალანის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა 1964 წელს პაბლო ნერუდას დაბადების სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე.

...მე არაფერს ვიტყვი პაბლოს ლიტერატურულ დამსახურებაზე, ამას მთელი მსოფლიო აღიარებს. ნება მომეცით, გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი, რომლებიც დიდი ხანია თან მდევს...

მე არაერთგზის ვყოფილვარ მის სახლში ისლა-ნეგრაში. მინახავს, როგორ წერდა იგი წიგნს, ანდა რამდენიმე წიგნს ერთდროულად; და მიმხვდარვარ, რომ მუზა ზეციდან კი არ ეშვება, არამედ მიწიდან აღმოცენდება. მთელი მისი შემოქმედება თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია.

პაბლო, სამხრეთის გლეხების მსგავსად, რომლებიც ყველაფერს საკუთარი გამოცდილებით სწვდებიან, მთელი სიგრძე-სიგანით იცნობს გარემომცველ ბუნებას და მის მოვლენებს. მან იცის ჩვენ მშობლიურ მიწაზე აღმოცენებული ყველა ბალახის, ყვავილის, ბუჩქისა თუ ხის, გარეული ხილის, ფრინველისა თუ მწერის სახელწოდება და მათი ნიშან-თვისებები. ჩილეს, მისი ისტორიისა და წარმოშობის შესახებ მან იმდენი იცის, შეიძლება მეტიც, რამდენიც თვით ყველაზე გათვითცნობიერებულმა ისტორიკოსმა... ძალიან ცოტა თუ იცნობს ხალხს ისე, როგორც იგი.

ყოველივე ეს შეიძლება დაუჯერებელია, რადგან ერთი შეხედვით იგი იმ ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც ვერ ხედავს და არ ესმის რა ხდება მის გარშემო... სინამდვილეში იგი მეტს ხედავს და მეტი ესმის, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავს, მაგრამ სწრაფად არ ავლენს რეაქციას.

გასულ კვირას მე და ჩემი ცოლი მას ისლა-ნეგრაში ვეწვიეთ, მივულოცეთ და პარტიის სახელით

გაგრძელება იხ. 8-ე გვ.

ლუის კორვალანი და პაბლო ნერუდა მეგობრებთან.



# ყაბარდო-ბალყარელი ქართველები

თუ ცოდნა მართლა ის ძალაა, რომელიც ადამიანს მრავალი ტანჯვისაგან ათავისუფლებს, ეს პირველ რიგში ექიმზე ითქმის. ექიმს ადამიანის ბედნიერების ორგანიზატორი უწოდეს... ქ. ნალჩიკში, მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში უდიდესი საავადმყოფოა 1100 ავადმყოფის მკურნალობა რომ შეუძლია ერთდროულად. მარტო ამ საავადმყოფოში ექვსი ქართველი ექიმი მუშაობს.

რსფსრ დამსახურებულ ექიმს, კარდიოლოგიის განყოფილების გამგეს მარო ელიაშვილს მთელს ყაბარდო-ბალყარეთში იცნობენ. მარო დუშეთში დაიბადა; მათი ოჯახი 1933 წელს გადასახლდა ორჯონიკიძეში. მაროს და, სოფიკო ელიაშვილი 25 წლის განმავლობაში გახლდათ ორჯონიკიძის ქართული სკოლის დირექტორი. 1948 წლიდან მარო ელიაშვილი საცხოვრებლად ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში გადადის. მისი ქმარი შალვა ლობჟანიძე დიდი სამამულო ომის მონაწილეა, შვილი — ნოდარი კი ექიმია და რესპუბლიკის ფსიქო-ნერვოლოგიურ დისპანსერში მუშაობს. ნოდარის მეუღლე, მარინა ლობჟანიძე სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

მარო ელიაშვილზე „კაბარდინო-ბალკარსკაია ას პრავდას" 1977 წლის 17 მარტის ნომერში დაბეჭდილია ვრცელი წერილი: „გაუფრთხილდით გულს".

— პირველი, რასაც ადამიანები არ ვუფრთხილდებით, ეს გულია, — მეუბნება მარო ელიაშვილი, — თუ გსურთ ჯანმრთელი იყოთ, კარგი ურთიერთობა დაამყარეთ ადამიანებთან!

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ ფრაზას: „ამხანაგმა თ. კობერიძემ 1965 წელს გაიარა ატესტაცია და მიენიჭა ექიმ-რენტგენოლოგის პირველი კატეგორია. იგი დაუფლებულია დიაგნოსტიკის ყველა სახეობას — ბრონქოგრაფიას, ოჰლეციოსტოგრაფიას, ჰოლონგოგრაფიას, პიელო და უროგრაფიას, კომოგრაფიას, კიმოგრაფიას, დაუდენდოგრაფიას, მედოსტენოგრაფიას და რენტგენოგრაფიას".

ეს სტრიქონები ნალჩიკის ქალაქის საავადმყოფოს მთავარი რენტგენოლოგის თამარ კობერიძის სატესტაციო ფურცლიდან ამოვიწერე.

ყაბარდო-ბალყარეთში მცხოვრები ქართველებისათვის თამარ კობერიძის ბიოგრაფია ტიპიურია. თამარი წარმოშობით რაჭველია, სოფელ ჩხმორიდან, დაიბადა 1925 წელს ქ. პროხლადნაიაში (ნალჩიკიდან 60 კილომეტრია). იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ — ჩრდილო-ოსეთის სამედიცინო ინსტიტუტი; პროხლადნაიაში ერთი წელი იმუშავა თერაპევტად და გინეკოლოგად. 1949 წელს მოსკოვში გაიარა რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის კურსები მედიცინის მეცნიერებათა დამსახურებულ მოღვაწესთან სამუელ რეინბერხთან (მას კარგად ცოდნია ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ქართული ენები). 1951 წელს თამარი ნალჩიკელ ქართველ ინჟინერზე გიორგი ლობჟანიძეზე გათხოვდა, საცხოვრებლად გადავიდა ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში და მას შემდეგ იქ მუშაობს (26 წელია ექიმად, 16 წელი — მთავარ ექიმ-რენტგენოლოგად). ამ ხნის მანძილზე თამარმა ჩრდილო-კავკასიას აღუზარდა 45 ექიმი-რენტგენოლოგი; მათ შორის ქართველი სერგო გავაშელი, რომელიც ამჟამად მის განყოფილებაში მუშაობს.

ჩიხრაძეების ოჯახი თუ მუშური ტრადიციების მატარებელია, ლობჟანიძე-კობერიძეების ოჯახს თამამად შეიძლება ინტელიგენტური ეწოდოს. თვითონ განსაჯეთ: თამარის ქალიშვილი — ლენა მეტრეველი-ლობჟანიძისა ექიმი-თერაპევტია, ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო ნალჩიკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი — წითელი დიპლომით. იგი ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტი გახლდათ, როდესაც 1973 წელს მოსკოვში გამართულ სტუდენტთა საკავშირო-სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი მეცნიერული შრომისათვის ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა. თამარის მეორე შვილი — ვახტანგი სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტია, თამარის ძმა — შოთა კობერიძე ქალაქის საავადმყოფოში ექიმ-უროლოგად მუშაობს, სიძე — ლენას ქმარი, ვალერი ლობჟანიძე ინჟინერია; ოჯახის უფროსი, თამარის ქმარი — გიორგი ლობჟანიძე კი ინჟინერ-კონსტრუქტორი გახლავთ და ნალჩიკის ქარხანა „სევეელექტროპრიბორში" მთავარი ტექნოლოგიის განყოფილების ბიუროს უფროსია. სხვათა შორის ამ ქარხანაში კიდევ სამი ქართველი ინჟინერი მუშაობს.

ჩვენი ეპოქის ერთი ნიშანთვისება ისიც არის, რომ ბოლო ელება ე. წ. „ვიწრო სპეციალობებს"; მუშა იქნება, ინჟინერი, თუ ექიმი, თავისი სპეციალობის გარდა მოსაზღვრე სპეციალობათა საკმაო ცოდნასაც ამჟღავნებს. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამა ისეა შედგენილი, რომ კურსდამთავრებულები ფართო ცოდნას იძენენ; მხოლოდ მცოდნე და გამოცდილ პედაგოგს შეუძლია აღზარდოს ყოველმხრივ მომზადებული სპეციალისტი.

ყაბარდო-ბალყარეთის პოლიტექნიკურმა ტექნიკუმმა (საკმაოდ დიდი ტექნიკუმია, დღის განყოფილებაზე 1100 მოსწავლეა, დაუსწრებელზე — 3600, ხოლო საღამოს დასწრებულზე — 300) თავისი არსებობის ოცდასამი წლის მანძილზე ათასობით სპეციალისტი მოამზადა. ისინი დღეს ინჟინერ-ტექნიკოსებად მუშაობენ სახალხო მეურნეობის ხსვადასხვა უბანზე. ტექნიკუმში მომუშავე ქართველი პედაგოგების დამსახურება გახლავთ, ისინი წარმატებით რომ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ ტექნიკუმში ოთხი ქართველი პედაგოგი მოღვაწეობს. ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ქართველია.

ვლადიმერ ლობჟანიძე პოლიტეკონომიის ლექტორია, იგი თამარ კობერიძის მაზლია. გივი ლობჟანიძე ხაზვას ასწავლის, ლევან ჩიხრაძე — ფიზკულტურას, ხოლო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე ვანო ლობჟანიძე ხელსაწყოთმშენებლობის ფრიადოსნად ითვლება.

ვანომ საშუალო სკოლა 1936 წელს თბილისში დაამთავრა; იმ დროს მათი ოჯახი ყაბარდო-ბალყარეთში ცხოვრობდა, მაგრამ მშობლებმა სკოლა საქართველოში დაამთავრებინეს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს ორჯონიკიძის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და ამთავრებს 1941 წლის ივნისში. დიპლომის მიღებას ვერ ასწრებს, ომი იწყება და ვანო ომში მიდის. ვანო პირველი უკრაინის ფრონტზე იბრძოდა და ბერლინის აღებაშიც მონაწილეობდა. დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის ორდენებით და უამრავი მედლით; იგი ძველი სპორტსმენი — მძლეოსანი გახლავთ.

— რამდენი სპეციალისტი აღზარდეთ, რაც დირექტორის მოადგილედ მუშაობთ? — ვეკითხები ვანო ლობჟანიძეს.

— დაახლოებით რვა ათასი.

— რა დარგის სპეციალისტები არიან ისინი?

— ტექნიკუმი ძირითადად სამი დარგის სპეციალისტებს ამზადებს: ელექტროხელსაწყომშენებლებს; საწარმოო კომბინატების, კულტურულ დაწესებულებათა და სხვა სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლებს და ლითონმჭრელი ინსტრუმენტების სპეციალისტებს.

— გთხოვთ, გაიხსენოთ ტექნიკუმში აღზრდილი ქართველი სპეციალისტები.

— ჩვენი ტექნიკუმის [illegible] ლევან ჩიხრაძე ჩვენი ყოფილი მოსწავლეა, გაგრაში მშენებლობაზე მუშაობს, ნოე ქელიძე, ნალჩიკის სატრიკოტაჟო კომბინატის „დრუჟბას" წარმოების უფროსი გახლავთ გალინა ჩიხრაძე, ამავე კომბინატის საამქროს უფროსია ნინო ლობჟანიძე, ნალჩიკის სამკერვალო გაერთიანებაში ინჟინერ-კონსტრუქტორად მუშაობს ვაჟა ლობჟანიძე, ამავე გაერთიანების ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსია ალექსანდრე ლობჟანიძე. არ იფიქროთ, ლობჟანიძეები ჩემი ნათესავები არიან და პროტექციონიზმი არ დამწამოთ, — ღიმილით მეუბნება ვანო ლობჟანიძე, — ყაბარდო-ბალყარეთში ისეთ ფაქტებსაც შეხვდებით, როდესაც ლობჟანიძე ცოლად მიჰყვება ლობჟანიძეს, მაგრამ ისინი ერთმანეთის შორეული ნათესავებიც კი არ არიან, უბრალოდ მოგვარეები.

— ყველაზე მეტად მაინც რომელი ქართული გვარებია გავრცელებული ყაბარდო-ბალყარეთში?

— პირველ ადგილზე — ლობჟანიძეები, შემდეგ მგონი, ჩიხრაძეები და რეხვიაშვილები მოდის; სულ 40 გვარზე მეტია: გობეჯიშვილები, გავაშელები, გავაშელიშვილები, კობერიძეები, მეტრეველები, ხიდაშელები, ბექაურები, ომიაძეები, ილურიძეები, ჯოხაძეები, მაისურაძეები, კვერნაძეები, ჩაგელიშვილები, ჯელაძეები და სხვ.

ვიქტორ ჯელაძე მეც გავიცანი; რუსული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი, ამჟამად ნალჩიკის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილედ მუშაობს. ყაბარდო-ბალყარეთის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი ქართველი პედაგოგი ასწავლის უცხო ენებს, მაგალითად: ნათელა ლობჟანიძე გერმანულს ასწავლის, ნატო ლობჟანიძე (ჟურნალისტ მიხეილ რეხვიაშვილის მეუღლე) ინგლისურსა და ფრანგულ ენებს ასწავლის და ა. შ. სამწუხაროდ, ვერ შევხვდი რსფსრ დამსახურებულ მასწავლებელს ვანო ჩაგელიშვილს, რომელიც მათემატიკას ასწავლის ნალჩიკიდან დაშორებულ ერთ-ერთ სოფელში. ვერ მოვახერხე აგრეთვე ბევრი იქაური ქართველი პედაგოგის, ინჟინრის, ექიმის თუ სხვა დარგის სპეციალისტის გაცნობა. მაპატიონ მათ, ვის შესახებაც დროის სიმცირის გამო ამჯერად ყურადღება ვერ შევაჩერე.

მომავალ შეხვედრამდე ჩემო ყაბარდო-ბალყარელო ქართველებო!

ცნობილი ბალყარელი საბჭოთა პოეტის ყაისინ ყულიევის აზრი თქვენზე და საერთოდ ქართველებზე საქვეყნოდ არის ცნობილი და აღარ გავიმეორებ. მსურს, ჩემი წერილი დავამთავრო ცნობილი ყაბარდო-ბალყარელი პოეტის საფარ მაკიტოვის სიტყვებით ჩემთან შეხვედრისას რომ წარმოთქვა: „ყაბარდო-ბალყარელები საერთოდ ვამაყობთ ჩვენი ქართველი მეგობრებით, აქაურ ქართველებს ღვიძლი ძმებისაგან არ ვარჩევთ. აქ ერთ საერთო მიზანსა და საქმეს ვემსახურებით და ჩვენი რესპუბლიკის წინსვლაში ქართველებს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით.

გაუმარჯოს ჩვენს ძმობას, გაუმარჯოს მთის იქითა და მთის აქეთა ქართველებს!"

გიგა მახვილაძე

ნალჩიკი — თბილისი

## სიტყვა პაბლო ნერუდაზე

(დასასრული)

საჩუქარი გადავეცით. პაბლომ როგორღაც დაბნეულმა ჩამოგვართვა საჩუქარი, მაგრამ გაველო რამდენიმე საათმა, დაამთავრა თავისი ჩვეული სიესტა — რომელსაც იგი ვერ შეელევა, თუნდაც რესპუბლიკის პრეზიდენტი ეწვიოს — და მხოლოდ ამის შემდეგ შეათვალიერა მისადმი მიძღვნილი საბჭოთა წარმოების საათი, რომლის ხუფზე ჩვენი პარტიის გერბი იყო ამოტვიფრული; შეათვალიერა და იმ ბავშვს დაემსგავსა, ახალი ფეხსაცმელი რომ ჩააცვეს. იგი საჩუქარს ყველას უჩვენებდა და თითქოს ბოდიშს იხდიხო, მე და ჩემ ცოლს გვეუბნებოდა:

— ყველა სამხრეთელი ერთთავად ასეთები ვართ: ზოგჯერ ორი დღე გვჭირდება, რეაგირება რომ მოვახდინოთ.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ინტელიგენტები, მხატვრები ჩვეულებრივ უფრო გულჩათხრობილი და რთული ბუნებისანი არიან, ვიდრე ჩვენ, უბრალო ადამიანები; ამით სულაც არ მინდა დავაკნინო ის დიდი პატივისცემა, რასაც პარტია ინტელიგენტებისა და მათი შემოქმედებისადმი იჩენს. ხშირად მათ მიერ მიღებული ცხოვრების წესი და მოქმედება გამოხატავს განსაკუთრებულ თვალსაზრისს, პირობითობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტს. პაბლოს საკმაოდ ახასიათებს ეს თავისებურებანი და, როგორც ყველა ადამიანი, იგი შეცდომებისაგანაც არ არის დაზღვეული. მაგრამ ყველაფერს ამას ჩრდილავს მისი შესანიშნავი, ღრმად პარტიული სულისკვეთება, მისი არაჩვეულებრივი პოლიტიკური გამჭრიახობა, უაღრესად რთულ სიტუაციებში ორიენტირების განსაცვიფრებელი უნარი.

ახლა მისი სიმამაცე. მისი შეუპოვრობა და სიმტკიცე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი მზადყოფნა თითქმის ოლიმპიური სიმშვიდით გადაიტანოს რეაქციონერთა ლანძღვა-გინება და სიძულვილი! იგი აინუნშიაც არ აგდებს ოლიგარქიული პრესის საბოტაჟს, ანდა მის გულცივ დუმილს, აინუნშიაც არ აგდებს, რომ შავ სიაშია შეტანილი. იგი უბრალო ადამიანია უბრალო ადამიანებთან, ქედმაღალი — ხელისუფლებთან. ყურებში ჯერაც ცღერს პარლამენტის საპატიო დარბაზში ალიენდისტური ახალგაზრდობის ყრილობაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ორი რამით ვამაყობ: ხალხის სიყვარულით და მისი მტრების სიძულვილით".

მახსოვს, ბრძოლაში მის მძაფრ გესლიანობაზე ლაპარაკობდა „ნიუ-იორკ ტაიმსის" ერთ-ერთი კორესპონდენტი, რომელიც ჩილეში ჩამოვიდა 1948 წელს. პაბლოს განთქმული „მე ბრალს ვდებ", სენატში წარმოთქმული მისი სიტყვის თაობაზე ამ ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მაშინდელი დიქტატორი საშინლად გაფითრდა, როცა მოისმინა მტრის სიტყვა, რომელსაც შეუძლია ისე გამოიყენოს სიტყვა, როგორც მათრახი...

ჩვენ უფლება არა გვაქვს მივიჩნიოთ, რომ პაბლო ნერუდა მხოლოდ ჩვენ გვეკუთვნის. პაბლო მთელი სახალხო მოძრაობის მებრძოლია. იგი ჩილესა და მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. ნება მომეცით მაინც, აქ, პარტიის სახლში, კომუნისტების სახელით გამოვუცხადო მას მთელი ჩვენი სიყვარული და მადლიერება.

მადლობას გიხდით, პაბლო, შენი ლირიკული პოეზიისათვის... მადლობას გიხდით შენი ლექსებისათვის.., რომლებმაც თითოეული ჩილელის გული დაიპყრო; მადლობას გიხდით, პაბლო, ყოველივე იმისათვის, რაც შენ გააკეთე და აკეთებ კომუნიზმის საქმისათვის.





ხმის ჩამწერი სტუდიის „მელოდიის" ხედი.

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.

# სიჩუმე, მიმდინარეობს ჩაწერა!

აქ ყველგან სიმღერას დაუსადგურებია. სწრაფად ცვლიან ერთმანეთს სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები: სიმფონიური, კამერული, საესტრადო, ხალხური... ვისმენთ საბჭოთა და უცხოელი გამოჩენილი მომღერლების: ნანი ბრეგვაძის, ვახტანგ კიკაბიძის, ედიტა პიეხას, მუსლიმ მაგომაევის, ლუი არმსტრონგის, დემის რუსოს და სხვათა მომაჯადოებელ ხმებს...

სიმღერისა და მუსიკის მატიანე — ასე უწოდებენ გრამფირფიტების საკავშირო ფირმის „მელოდიის" თბილისის გრამჩამწერ სტუდიას, რომელიც ვაჟა-ფშაველას პროსპექტზეა მოთავსებული.

ხმის ჩამწერი სტუდიის ორი დარბაზი აღჭურვილია სამამულო და უცხოური უახლესი ტექნიკის აპარატურით, რაც გრამფირფიტების ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი რაოდენობრივი ზრდის საშუალებას იძლევა.

სტუდია ძირითადად ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მუსიკალური ნაწარმოებების ჩაწერას ემსახურება.

აქვეა გრამფირფიტების კომპაქტკასეტების საამქრო და ტიპოგრაფია, რომლებშიც მზადდება

კომპოზიტორი ს. ცინცაძე ისმენს თავისი ნაწარმოების ჩანაწერს.



„მელოდიის" სამხატვრო რედაქტორი ვლადიმერ ნარჩიმაშვილი.



ახალი პროდუქცია.





„მელოდიის" საფირმო მაღაზია.

როგორც ვინილიტის გრამფირფიტები, ასევე ელასტიკური ფირფიტები.

სტუდიაში სტანდარტული ზომის მაგნიტოფონებისათვის მზადდება ადვილადმოსახმარი მცირე გაბარიტიანი კასეტები, რომელთა დაკვრის ხანგრძლივობა ერთი საათია.

გრამფირფიტებზე რომელიმე ნაწარმოების გადატანა და შემდეგ მისი მასობრივი გამოშვება ხანგრძლივ ტექნოლოგიურ პროცესს მოითხოვს. შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ რომელიმე ნაწარმოების ჩაწერას და ფირფიტების გამოშვებისათვის საჭირო მატრიცის დამზადებას თითქმის ერთი თვე სჭირდება.

სტუდია არსებობის მეჩვიდმეტე წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე აქ ასობით მუსიკალური, მხატვრული და დრამატული ნაწარმოები ჩაიწერა.

„მელოდიის" ხშირი სტუმრები არიან ანსამბლები: „ორერა", „დიელო", „რერო", „ანსამბლი 75", „აისი", „კოლხეთი", „ცისფერი ტრიო", „მზიური"...

ჩაწერილია ოპერები: „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ქეთო და კოტე", „მინდია", „დაუპატიჟებელი სტუმრები"...

სტუდია განსაკუთრებულ მზრუნველობას მოზარდი თაობის მიმართ იჩენს. სწორედ სტუდიის ინიციატივით მოხდა, რომ ქალაქ თბილისის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა სკოლებში პროგრამული მასალის უკეთ ასათვისებლად გამოუშვა სხვადასხვა სასწავლო ფირფიტები.

ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების სახელმძღვანელოებთან ერთად მოსწავლეები ახლა ამ ქართულ ფირფიტებსაც იძენენ, რაც ხელს უწყობს მათი გონებრივი ინტელექტის განვითარებას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სტუდიამ ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტები გამოუშვა. მათზე ჩაწერილია ლექსები, ნაწყვეტები საბავშვო მოთხრობებიდან, ანდაზები — მხატვრული კითხვის ოსტატთა შესრულებით.

პატარებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები". ქართული ხალხური ზღაპრების გარდა ბავშვები დიდი გულისყურით ისმენენ გერმანულ, ჩეხურ, სლოვაკურ, იაპონურ, ინდონეზიურ ზღაპრებს, რომლებიც ქართულ ენაზეა თარგმნილი.

„მელოდიას" არც სხვადასხვა სპექტაკლების ჩაწერა გამორჩენია. მსურველს საშუალება ეძლევა, მოისმინოს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი „ნაცარქექია", რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „ხანუმა". ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... დღითი დღე მდიდრდება და იზრდება „მელოდიის" მუსიკალური მატიანე.

სტუდიის მთელ კოლექტივს ერთი აზრი ამოძრავებს — გამოუშვან საუკეთესო ხარისხის ნაწარმი.

თუ დღეისათვის კომპაქტკასეტების პროდუქცია ერთ მილიონს აღწევს, ხუთწლედის ბოლოსათვის მისი რიცხვი სამ მილიონამდე გაიზრდება, გრამფირფიტების რაოდენობა კი შვიდასი ათასიდან ათ მილიონს მიაღწევს.

ნუნუ კუპრეიშვილი



ახალი სიმღერის ჩაწერა

□

საფრანგეთის გამოჩენილი ტრაგიკოსის მეუღლე მუნიესიული არასოდეს არ დადიოდა ხოლმე თეატრში, როდესაც მისი ქმარი თამაშობდა. „რისთვის უნდა წავიდე თეატრში, — ამბობდა ქ-ნი მუნიესიული, — ნუთუ საღამოთიც მოვისმინო იმის ყვირილი! განა არ კმარა მთელი დღე, რომ ვისმენ მის ყვირილს სახლში? არა, დიდად გმადლობთ, ჩემთვის ეს საკმარისია."

□

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა ასეთი კითხვა მისცა თავის თავს: როგორ მოიქცევა ის, ვინც შენიშნავს თავის ჭიქაში ჩავარდნილ ბუზს?

მეცნიერმა, მეცნიერული მეთოდის გამოყენებით შემდეგი დასკვნა გააკეთა: ამ შემთხვევაში ესპანელი ლუდის ფასს გადაიხდის და წავა; ფრანგი ჯერ ბუზს თითით ამოიღებს ჭიქიდან, გასჭყლიტავს, მერე გაჯავრდება და გამოლანძღავს მოსამსახურეს; ინგლისელი ლუდს იატაკზე დაღვრის და შეუძახებს: „ეი, გარსონ, კიდევ ერთი ჭიქა!.." მერე განაგრძობს ლაპარაკს სხვა საგანზე; გერმანელი ბუზს ამოიღებს და ლუდს დალევს;

□

თბილისელ კინტოს თევზი დაჰქონდა გასასყიდად ქურაში და გაჰყვიროდა: „ცოცხალი თევზი! ცოცხალი თევზი! აბა, კარგი თევზი!"

ერთმა დარბაისელმა ქართველმა თავადმა კინტოს დაუძახა: ამოდი აივანზე, მაჩვენე თევზიო.

კინტო ავიდა და თავადის წინ დადგა თაბახი. თავადი დააჩერდა თაბახს და რა დაინახა თევზები წუნარად არიან, არ მოეწონა და კინტოს შეეკითხა:

— ბიჭო! როგორ გაჩუმებულან ეგ შენი თევზები?

— დალოცვილო, შიქახტას ხომ არ იმღერებს! აბა, რა უნდა სთქვანო! — მიუგო კინტომ.

□

გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ მეორეს დიდ ენციკლოპედისტად და ყველაფრის მცოდნედ მოჰქონდა თავი, ან ეგონა, იცოდა. სხვათაშორის იმპერატორი იკვეხნიდა, რომ ცხენების ჯიშების დიდი მცნობია, რომ მის საჯინიბოში საუკეთესო ცხენებია, „აქ ყველგან პატრონის თვალი ხჩანს," ეუბნებოდა ხშირად ვილჰელმი მეჯინიბეებს და მოჰყვებოდა თვითოეული ცხენის გენეალოგიას და მის სხვადასხვა ღირსებას.

ამ რამდენიმე წლის წინათ ვილჰელმის ბრძანებით იყიდეს ორმოცდაათზე მეტი ცხენი, რომელიც თვითონ დაეთვალიერებინა. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ნაყიდი ცხენები ისეთები არ გამოდგნენ, როგორიც გერმანიის იმპერატორს ეგონა. ცხენების კარგი მცნობის ხახელი უტყდებოდა და ბრძანა, სამართალში მიეცა ოცამდე მეჯინიბე. მაგრამ სასამართლომ არ ცნო ეს საქმე სამართლის საქმედ, არც კონსტიტუციის და არც სისხლის სამართლის კანონებით იმპერატორის სასახლის მოხელეები არ ითვლებიან სახელმწიფოს მოხელეებად, ესენი კერძო პირები არიან და ემსახურებიან კერძო პირებსვე.

ვილჰელმ მეორე იძულებული შეიქმნა, დაეთმო ეს საქმეები და დამორჩილებოდა ლეიპციგის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას.

# ძველი ქართული თარიღები

ამას წინათ ერთნაირი შინაარსის სამი წერილი მივიღე. მათი ავტორები ჩივიან: გვიძნელდება „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში შეხვედრილი თარიღების სწორად გაგებაო და გვეკითხებიან: როგორ უნდა გაიშიფროს ძველ ქართულ ხელნაწერებში დამოწმებული თარიღებიო.

ეს საკითხი, როგორც ჩანს, სხვა მკითხველთა ინტერესის საგანსაც შეადგენს, რადგან მსგავსი შინაარსის შეკითხვები სხვა დროსაც მიმიღია და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანი მათთვის მოკლე პასუხის გაცემა ჟურნალ „დროშის“ მეშვეობით.

ძველ ქართულ ძეგლებში დამოწმებული თარიღების სწორად გაშიფვრისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება. უნდა გვახსოვდეს, რომ ძველ საქართველოში წელთაღრიცხვის რამდენიმე სისტემას იყენებდნენ. მწიგნობრობის ცალკეულ ცენტრებში დროის სხვადასხვა გამოთვლა იყო მიღებული და ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული, წელთაღრიცხვა, როგორიც დღესა გვაქვს, არ ყოფილა. მეცნიერებმა (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და სხვ.) შეისწავლეს ეგ დასახელებული სისტემები და დაადგინეს მათი ტრადიციები კულტურის კერათა მიხედვით, საგულისხმოა იმის აღნიშვნაც, რომ ადრინდელ ხელნაწერებში ხშირად ერთსა და იმავე დროს ორ ან სამნაირი თარიღია აღნიშნული ერთი მნიშვნელობით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ავტორები ცდილობდნენ ყველასათვის ხელმისაწვდომად გაეხადათ თავიანთ თხზულებებში აღწერილი მოვლენები და ფაქტები, მათი დრო ეჩვენებინათ ყველასათვის გასაგებად. ეს პირველ რიგში ითქმის „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ მემატიანეთა თხზულებებსა და იმ ძეგლებზე, რომლებშიაც თარიღები ორი ან სამი სისტემითაა წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ გავშიფროთ ძველი თარიღები, უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს ჩვენი ანბანის (ასოების) რიცხობრივი მნიშვნელობა, შემდეგ კი — წელთაღრიცხვის ძველად გავრცელებული სისტემები. ორივე მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ქართული ანბანის (ასოების) რიცხობრივი მნიშვნელობა, როგორც ვიცით, ასეთია: ა) **ერთეულებია:** ა (1), ბ (2), გ (3), დ (4), ე (5), ვ (6), ზ (7), ჱ (8), თ (9); ბ) **ათეულებია:** ი (10), კ (20), ლ (30), მ (40), ნ (50), ჲ (60), ო (70), პ (80), ჟ (90); გ) **ასეულებია:** რ (100), ს (200), ტ (300), უ(ჳ) (400), ფ (500), ქ (600), ღ (700), ყ (800), შ (900); დ) **ათასეულებია:** ჩ (1000), ც (2000), ძ (3000), წ (4000), ჭ (5000), ხ (6000), ჴ (7000), ჯ (8000), ჰ (9000), ჵ (10.000).

ძველ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო წელთაღრიცხვა დასაბამიდან, ანუ ქვეყნის გაჩენიდან, ქართული ქრონიკონითა და ქრისტიანული წესით (ახალი ერა). ზოგჯერ მაჰმადიანური (თათრული) სისტემაც იხმარებოდა. ყველა სისტემას დროის თავისი სათვალავი ჰქონდა.

1. დასაბამიდან წელთაღრიცხვა გულისხმობს, რომ ქვეყნის გაჩენიდან ახალი ერის დაწყებამდის გასულია 5.604 წელი (ასე ანგარიშობდნენ მხოლოდ ქართველები. ევსევი კესარიელის მიხედვით კი დასაბამიდან ახალი წელთაღრიცხვის დაწყებამდის გასულია 5.198 წელი, პანოდორე ალექსანდრიელის ანგარიშით — 5.492 წ., ანიანე ალექსანდრიელსა და იულიუს აფრიკელის გამოთვლით — 5.500 წ., ბიზანტიური სისტემით — 5.508 წ.). ამ გამოთვლების ახალ ერაზე გადმოსაყვანად საჭიროა დასაბამიდან გასულ წელთა ჯამს გამოვაკლოთ დასაბამიდან ჩვენი ერის დაწყებამდის გასული წლების ჯამი (ქართულით 5.604) და მივიღებთ ჩვენთვის საჭირო თარიღს დღევანდელი ანგარიშით.

2. ქართული ქრონიკონი ანუ ქორონიკონი ეყრდნობა 532 წლიანი მოქცევის ციკლებს და, როგორც ცნობილია, საფუძვლად იღებს მზის 28 წლიან და მთავარის 19 წლიან მოქცევას. ამ ორი რიცხვის ნამრავლი (28 × 19) სწორედ 532 წელს გვაძლევს. 532 წელიწადი კი პერიოდულად მეორდება, ე. ი. ყოველი 532 წლის შემდეგ მეორდება დღეთა და თვეთა ანგარიში. ნ. ჩუბინაშვილი ამბობს: „რამეთუ რიცხვი მთოვარის მოქცევისა 19 და მზის მოქცევისა 28 განამრავლო რა ერთი მეორესა ზედა, შეიქმნების 532 წელიწადი, რომელთაცა მობრუნების შემდგომად შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, პასექის დღე, მისნი წინამავალნი და შემდგომნი დღესასწაულნი, მარხვათ აღების დღენი და სხვანი ანგარიშნი თვითეულის წლისანი, იმავე შვიდეულის დღეებსა და თვეთ რიცხვებში მოვლენ“. ქართული გამოთვლით, დასაბამიდან ვიდრე 1844 წლამდის, 532 წლიანი ციკლის შესაბამისად, გასულა 14 მოქცევა, 1845 წელს დაწყებულა მე-15 მოქცევა და, მაშასადამე, ამჟამად მეთხუთმეტე მოქცევის 133-ე წელი დგას. ძველი ქართული ძეგლები, რომელთა დათარიღებას მეცნიერება ახერხებს, შექმნილია მეთორმეტე (დაიწყო 248 წ.), მეცამეტე (დაიწყო 780 წ.) და მეთოთხმეტე (დაიწყო 1312 წ.) მოქცევათა შუალედებში. X-XII სს. ძეგლების უდიდეს უმეტესობაზე ჩვეულებრივ აღნიშნული არ არის მოქცევა, რადგან თავისთავად იგულისხმება მეცამეტე მოქცევა. ამიტომ თუ გვინდა, ძველი თარიღი გადმოვიტანოთ ახალ ერაზე, მეცამეტე მოქცევის წლებს უნდა მივუმატოთ ამ მოქცევის დასაწყისი (780).

3. ქრისტიანული წელთაღრიცხვა ჩვენში VIII ს. დასტურდება. ევროპის ქვეყნებში კი გავრცელდა 525 წლიდან. მისი შემოღება დიონისეს სახელთანაა დაკავშირებული. კ. კეკელიძის ცნობით, იგი „ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად 742 წელს ჩანს, მუდმივს ხასიათს კი მხოლოდ მეათე საუკუნეში ღებულობს“. მის დასაწყისად ზოგი ავტორი „ქრისტეს დაბადებას“ თვლის, ზოგი „ვნებას, ჯვარცმასა და აღდგომას“, ზოგიც „ამაღლებას“ მიიჩნევს.

წელთაღრიცხვის ჩამოთვლილი სისტემები მეტნაკლებად გავრცელებული იყო ჩვენშიაც, ამ სისტემებითაა დათარიღებული ძველ საისტორიო ძეგლებში აღწერილი ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა. ზოგჯერ ერთსა და იმავე დროს გამოყენებულია ორი ან სამი სისტემით მიღებული ანგარიში.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში, მაგალითად, აღნიშნულია: „მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა **ხულ**, ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა **მვ**“ („ქართლის ცხოვრება“, 1, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1955, გვ. 377). აქ ორი სისტემით დამოწმებულია ერთი და იგივე თარიღი, რაც ასე გაიშიფრება: დასაბამიდან **ხულ** წელი = 6430 წ., რასაც უნდა გამოაკლდეს ქვეყნის გაჩენიდან ჩვენი ერის დასაწყისამდის გასული 5.604 წ. (6.430—5.604) და მივიღებთ აშოტ კურაპალატის გარდაცვალების თარიღს — 826 წ. ამავე თარიღს ადასტურებს აქვე დამოწმებული მეორე ანგარიშიც. მეცამეტე მოქცევის დასაწყისს — 780 წ. უნდა მივუმატოთ ამ მოქცევის დასაწყისიდან გასული **მვ** (46) წელი (780 + 46 =) და მივიღებთ იმავე 826 წელს. ე. ი. ორივე სისტემით (დასაბამით და ქრონიკონით) დამოწმებულია ერთი თარიღი.

იმავე წყაროში ბაგრატ კურაპალატის გარდაცვალების შესახებ ნათქვამია: „გარდაიცვალა ესე ბაგრატ ქრონიკონსა **სლდ**“ (იქვე, გვ. 383). აქ დასახელებულია ერთი თარიღი: ქრონიკონი **სლდ** = 234, რასაც უნდა მივუმატოთ 780 (მეცამეტე მოქცევის დასაწყისის მაჩვენებელი წელი) და მივიღებთ 1014 წ. (234 + 780 = 1014). ე. ი. ამ წელს გარდაცვლილა ბაგრატ მეფე.

ძველი ქართულის შესანიშნავი ძეგლის — სინური მრავალთავის — ანდერძში ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგან წელთა **ხუჲჱ**, ქრონიკონი იყო **პდ**“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედ., 1959, გვ. 280). დასაბამით **ხუჲჱ** = 6.468 წ., ამას უნდა გამოაკლდეს ჩვენი ერის დაწყებამდის გასული 5.604 წ. (6.468—5.604 = 864) და მივიღებთ ძეგლის გადაწერის თარიღს — 864 წ. ამავე თარიღს გვაძლევს ქრონიკონი **პდ**: 84 + 780 = 864 წ. ორივე თარიღის ჩვენებით, ძეგლი 864 წელსაა გადაწერილი.

ამავე ძეგლს ახლავს მინაწერი: „შეიმოსა მესამედ წმიდაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა... დასაბამითგანთა წელთა ქართულად **ხფპე**-სა და ქრონიკონსა **სა**-სა“ (იქვე, გვ. 282). ორივე ანგარიში ერთ თარიღს გვაძლევს: **ხფპე** = 6.585—5.604 = 981 წ., ქრონიკონი **სა = 201 + 780 = 981 წ.**

თამარ მეფის ერთი ლაშქრობის შესახებ აგარიანთა წინააღმდეგ ვახუშტი ამბობს: ეს მოხდა „ქრონიკონსა **ჩრუგ**, ქართულსა **უიგ**-საო“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., 1973, გვ. 183). ქრონიკონი **ჩრუგ** = 1193 წ.; ასევე ქართული ანგარიშით **უიგ** = 413 + **780** = 1193 წ., ე. ი. თამარის ლაშქრობა აგარიანთა წინააღმდეგ 1193 წ. მომხდარა.

ვახუშტისავე ცნობით, გიორგი სააკაძემ ყიზილბაშნი შემუსრა ქრონიკონსა **ჩქკგ**, ქართული ანგარიშით **ტია** (იქვე, გვ. 590), რაც ასე გამოითვლება: **ჩქკგ** = 1623; **ტია** = 311 + 1312 = 1623 წ. ე. ი. გიორგი სააკაძეს ყიზილბაშნი 1.623 წ. შეუმუსრავს.

დავიმოწმებ, ბოლოს, გვიანდელი, XVIII საუკუნის, ძეგლის თარიღსაც. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ერთ ნუსხას ახლავს გადამწერის ასეთი ანდერძი:

სჯობს, განვაცხადო, ეს წიგნი
როს დაიწერა, ან სადა,
ქართულსა ქორონიკონსა
**უ**ნსა, **ო**ნსა და **ა**ნსადა,
თელავის სემინარიის
წარჩინებულსა სტილსადა... (H 602, ფ. 190).

როგორც ვხედავთ, აქ „სიტყვის კონის“ გადანუსხვის თარიღი ზუსტადაა მითითებული: **უოა** = 471, ამას უნდა მივუმატოთ მეცამეტე მოქცევის დასასრულის აღმნიშვნელი 1312 წ. და მივიღებთ 1783 წ. (471 + 1312 = 1783).

წელთაღრიცხვა დასაბამიდან და ქრონიკონი ამჟამად აღარ იხმარება. ცივილიზებულ ქვეყნებში დიდი ხანია დამკვიდრებულია ახალი ერა დაზუსტებული ახალი სტილით (ქრისტიანული წელთაღრიცხვა). ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს წელთაღრიცხვის სხვა სისტემაც. მაჰმადიანური სამყარო, მაგალითად, წელთაღრიცხვას ითვლის ჰიჯრით, ე. ი. მუჰამედის მექიდან წასვლის დღით, რაც 622 წლის 16 ივლისს მომხდარა.

1977 წელი ძველი სისტემებით შეიძლება ასე აღინიშნოს: ა) დასაბამით 7.581 წ. (5.604 + 1977): **ჭფპა**; ბ) ქრონიკონით 133 წ.: **რლგ**.

ალ. ღლონტი,
პროფესორი.

# საიუბილეო გამოფენიდან



ვ. ქუთათელაძე. ბათუმი — გემების რეიდზე.

გ. თაყაიშვილი. ახალი ტბილისელი





ლ. ზამბახიძე. არდადეგები





მ. ახობაძე არაგვის ნაპირებზე — ტრიპტიქი



ქ. იგნატოვი. მოლოდინი.

ლ. გუდიაშვილი შეხვედრა მთაში.



ზ. დავითაია. ახალი დროება.

ი. პატაშური. მიწის შვილები.



თ. ხამხონაძე. მოგონება



# საიუბილეო გამოფენიდან



ს. ცინცაძე.
სერიიდან „მთის ბილიკებზე".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ცინცაძე. ფანჯარასთან.



# საიუბილეო გამოფენიდან

# ახალი ლექსები

## აკაკი გეწაძე

### აპრილი გასცემს პასუხს

თოვს, მთელი თვეა, თოვს.
ვინ გვითხრას, ზეცას რა სურს,
ან მიწა რასა სთხოვს?
თოვს, მთელი თვეა, თოვს.

ცაშიც, მიწაზეც ერთმანეთს
ახლა არავინ მტრობს.
ზვავი არ მოწყდეს მთიდანო,
არავინ ისვრის თოფს.

თოვლისქვეშ სძინავს სიკეთეს,
ხმაურს და ყველა ავსულს.
აქ სიმყუდროვის დარღვევა
ახლა არავის არ სურს.

თოვს, მთელი თვეა, თოვს.
ვინ იცის, ზეცას რა სურს?!
თოვს. ამ ზამთარსა და თოვლს
აპრილი გასცემს პასუხს.

### ის კურთხეული დრო

გახსოვს, წერილებს მწერდი,
შორეთს ვიყავი როცა.
შენ იყავ ჩემი ღმერთი,
შენ იყავ ჩემი ლოცვა.

როცა, დავბრუნდი, მაშინ
მზე ილვრებოდა თაფლად
და მზის სხივების ზღვაში
გულმა გაშალა აფრა.

წინანდებურად ვგრძნობ და
კვლავ მესიზმრება ღამით,
ის კურთხეული დრო და
ის დალოცვილი ჟამი.

სადღაა იგი ვნება,
ლტოლვა, ღელვა და შფოთვა...
მხოლოდღა მოგონება
დაგვრჩა კურთხეულ დროთა.

საით წავიდა გემი
იმ დრო-ჟამისა, როცა
შენ იყავ ღმერთი ჩემი,
შენ იყავ ჩემი ლოცვა?!

### უფრო მელამაზები

მიწავ, ვაზად ქცეულო,
უფრო მელამაზები.
გიმზერ, სულიც მევსება
დახუნძლული ვაზებით.

საქართველო — ვენახი
მზის სხივებივით გაზრდილი,
ზეცას ელამაზება
დახუნძლული ვაზივით.

ვუმზერ, ზვრებად ქცეულა
იმერი და ამერი...
ილიმება ძელშავი,
რქაწითელი, ჩხავერი.

კრახუნა და თაკვერი,
ციცქა და ოჯალეში
უცქერიან ერთმანეთს
მოციმციმე თვალებში.

ჩემი სულიც ივსება
დახუნძლული ვაზებით.
მიწავ, ვაზად ქცეულო,
უფრო მელამაზები.

### ზ ე ც ა

ცას მიეცა სულ სხვა ეშხი,
მზეა ამის თავდები.
ჩემი სულის ლაჟვარდებში
ქრიან კოსმონავტები.

* * *

სავსეა ზეცა, ზეცა სავსეა
შეუცნობელი გზებით.
სავსეა მიწა, კაცი სავსეა
ცისაკენ ლტოლვის გზნებით.
მალე გაახელს ზეცა ჩახჩახა
სულ სხვანაირად თვალებს.
ხომალდის ქროლვა ურმის ჯაყჯაყად
მოგვეჩვენება მალე.
ადამიანი — მიწას შეზრდილი,
ცაში ფიქრივით ივლის.
დღეს ზეცა მიმზერს ისე კეთილი,
ჰგავს გაგარინის ღიმილს.

* * *

კვლავ გამიცოცხლდა ოცნება
ბავშვის
და ვარსკვლავეთში ქროლვა
მომინდა,
ფიქრის ხომალდი აფრინდა ცაში
დღეს ჩემი გულის კოსმოდრომიდან.
ცარგვალში ჩემ ფიქრს კვალი რომ
დარჩეს,
კვალი რომ დარჩეს ოცნების
ზართა,
დავქრივარ ცაში...
და როგორც ბავშვებს,
ახლად გაჩენილ ვარსკვლავებს
ვნათლავ.

### გ უ ნ დ ა ო ბ ა

ირგვლივ ძევს თოვლი, სპეტაკი
თოვლი.
არა, არ ახლავს ამ თოვლს
სიცივე.
აქეთ და იქით დაფრინავს გუნდა,
იქით და აქეთ ისმის სიცილი.

შვილიშვილი პაპას ეგუნდავება
და ჰგავს პაპა გაღიმებულ
ღვთაებას.
ძალიან მინდა დღეს ამაზე
დავწერო ლექსი,
უკვდავებასავით ლამაზი ლექსი.
მაგრამ უკეთესად რაღა ვთქვა
კიდევ:
შვილიშვილი პაპას ეგუნდავება, —
გაზაფხული ზამთარს ეგუნდავება,

### ჩ ი ტ ი

დაგოგავს მინდვრად ლამაზი ჩიტი.
მამას ჰგონია — სვამს დილის
ცვარ-ნამს.
ხოლო გოგონას ეჩვენება —
ჩიტია დედა,
კრეფს და ინახავს დილის ცვარში
ანთებულ მზეებს,
რომ დაურიგოს ზამთარში შვილებს.

### ღ რ უ ბ ე ლ ი

— ჰკითხეთ, რა ატირებს ამ
პირქუშ ღრუბელს?
— ღრუბელი ტირის საკუთარ
სიკვდილს!
ტირილს მორჩება და ...
მოკვდება კიდეც.
ტირილი არის სიცოცხლე ღრუბლის.

## დილარ ივარდავა

●

ქარი აუღერებს იანვრის ორღანს —
თეთრი მუსიკის ფანტელი ცვივა,
დღე დღევანდელი უწინდელს მოჰგავს,
ფერისცვალებამ შეგაკრთო, ცირა?!
სახურავებზე წევს სველი კვამლი
და დათვის ბელის თოთო თათებით
გაპენტილია ღრუბლის ნაფლეთი,
ცაზე რომ კრთება, როგორც ემალი.
უწინდელივით ვერ გაიელვებს.
ეს ზამთარიც და...
სიცოცხლის ფესვი
ისევ აწვართავს ხვალის დილემას,
თუმცა დილემის არავის ესმის.

●

გაუქმებული შენი კითარა
კედელზე, როგორც მრავალწერტილი,
ჰკიდია და დარდს ველარ იქარვებს,
ჩემი სიმღერა გულდაწყვეტილი.

ყოველი სიმის მოწყენის მიღმა
თვლემს უნაზესი მუსიკის ბგერა —
სევდა კი თავის ვნებას და ნილაბს,
ვერ შეელევა, ვერა და ვერა!

თუმც ახლა რაღას
ვპირდები დღეებს —
გადაზნექილებს ქარების მსგავსად;
იქ, სადაც მღერის ბავშვობის ღელე,
მზის ბუჩქი
მარტის ფუტკრებით მავსებს.

ვიცი, პაწია ზეცის ნაჭერი
ხშირად მიჯნურთა ღია თვალებში
კვდება ყაყაჩოს დაწინწკლულ ღელვით
სინანულით და ფერისცვალებით.

ვიცი, იქნება ეს გახსენებაც
გაუქმებული შავი კითარა...
მინდა დათმობა,
დარდს რომ იქარვებს,
რომ ჩემი ნერვიც ჟღერდეს ხემებით.

●

აქ დასრულდება ის დასაწყისი,
და მთვარე
ხევში ირემივით გადაჩეხილი,
ჩაიქუფრება აისის ნისლით
და მხოლოდ ხსოვნის
აყვავდება ყველა ხეხილი.

დაჭრილი დავრჩი სამარადისოდ —
მოგიგონებდეს ღვთაებრივი
მწველი იარა —
დალის ტახტრევანს ვერვინ ადისო,
ტყუილუბრალოდ ვეჭიდები
საღმრთო იარაღს.

ვინ არის იგი — ბედის გამგები,
წუთისოფელი
ვით მისნობის ბადი ჭრელია,
ვიღაცა მართობს უცხო ჰანგებით
და სადაც წესით უნდა ვიყო,
არც კი მელიან.

იქნებ მე ვცდები, ვინ იცის, იქნებ!
და გზა სავალი აწონილია
მისხალ-მისხლობით.
მე წარმართივით მივყვები ფიქრებს:
იქნებ სხვა ვარ და
აღარასდროს აღარ მიცნობდი.
თუ კი ასეა, ესეც ბედია!

მოგიგონებდე, ღვთაებრივო,
ჩუმს — ღელვას დარდის,
საოცარია,
მაინც ნედლია
გზა,
სატანა და ღმერთი რომ დადის!

●

ხდება:
ზაფხულის ზიმზიმებს ალხი,
წევხარ ჰამაკში გულაღმა,
ზეცა
სახეში მხუთრის მოთენთვას გახლის,
ჰორიზონტი კი ირწევა ცეცხლად;
ხშირად ასეთ დროს
შეგძრავს შეგრძნება —
გახეულია ჰამაკი თითქოს,
საყელოში კი ყინვა შეძვრება —
ზაფხულია და...
ზამთარზე ფიქრობ.

# ᲮᲐᲑᲐᲖᲗ ᲣᲑᲐᲜᲘ~ ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲘ



ლადო ასათიანი აბასთუმანში, 1939 წ.

აქ, ოდესღაც ციხე-ქალაქი ყოფილა გაშენებული და ერქვა... ოძრხე (ანუ ოცხე), ახლა მას აბასთუმანი ეწოდება. საიდან სადაო იკითხავს კაცი. ზოგი ამბობს, რომ აქ სახლობდნენ ხაბაზები, რომლებიც სალაშქროდ მიმავალი ჯარისათვის პურს აცხობდნენ და ამიტომ ხაბაზთუბანი შეარქვესო, ხომ გაგიონიათ ლადო ასათიანის ლექსი: „ხაბაზთ უბანი აბასთუმანი, მზემ ფანჯრებიდან შემოანათა"... ზოგი ამბობს, რომ ბორჯომამდე ჩამოსვლა აბაზი ჯდებოდა, ხოლო იქიდან აბასთუმნამდე — თუმანიო, ამიტომ შეერქვა აბასთუმანიო.

ზ. ჭუმბურიძე წიგნში „რა გქვია შენ?" აბასთუმანს ასე განმარტავს: „აბასთ უბანი ნიშნავს აბასთა (აბასების) უბანს, აბასი კაცის სახელია. ეს სახელი ერქვა, მაგალითად, სპარსეთის ერთ-ერთ მეფეს, რომელმაც რამდენჯერმე ააოხრა საქართველო (შაჰ-აბასი, ანუ შაჰ-აბაზი). ამ მეფის სახელისაგან არის მიღებული ქართულში ხურდა ფულის ერთეულის (20 კაპიკი) აღმნიშვნელი სიტყვა აბაზი. აბასი სახელად საქართველოში რომ გვხვდებოდა, ამას ადასტურებს გვარები: აბასაშვილი, აბასაძე, აბაზაძე".

მოდი და გაიგე აბასების უბანია, ხაბაზების უბანი თუ აბაზი და თუმანი?! მე კი მგონია, რომ იგი სამოთხის უბანია, ედემის ბაღის უბანი!

ჰოდა, მივდივარ, თანაც მანქანით. უკან დარჩა ბორჯომი, აწყური, ჩავუქროლეთ რუსთავს. მერე მანქანამ თამარის ციხე მარცხნივ დატოვა, ნაძვნარით და ფიჭვნარით დაბურულ ხეობაში შეგრიალდა.

ჩემ ნათესავთან დავიდე ბინა.

ჩემოდანი დავდე, მტვერი ჩამოვიბერტყე და ქუჩაში გამოვედი. განა შეიძლება კაცი სამოთხის უბანში მოხვდეს და გაჯით შელესილ ოთხ კედელს შორის დაჰყოს ძვირფასი წუთები? და მეც მოჩუხჩუხე მდინარის პირას გაშენებულ ალვის ხეივანს დავუყევი; ავედი არაზინდომდე, ჩამოვედი გოგირდის აბაზანებამდე, მთელი სიგრძე-სიგანით გადავკვეთე აბასთუმანი. გზაზე მხვდებოდნენ ფერმკრთალი, გამხდარი ადამიანები, რომლებიც აუჩქარებლად, აუღელვებლად სეირნობდნენ; მხვდებოდნენ აგრეთვე თეთრხალათიანი საქმიანი ადამიანები...

ბევრი ვიხეტიალე. ბოლოს დასასვენებლად ალვის ხეივანში ჩამოვჯექი. ჩემ წინ აფიშაა — დღეს კლუბში, კინოფილმი „დათვის ქორწინება". „კარგია, საღამოს წავალ. კიდევ სად შეიძლება კაცი გაერთოს?" — გავიფიქრე და ქუჩის მეორე მხარეს დარაბის თავზე აბრას ვკიდე თვალი, „საბილიარდო", ამოვიკითხე. დაურიდებლად შევაღე კარი და ვიხილე ნაცნობი სურათი: პაპიროსის ბოლი, აღგზნებული სახეები, პატარა მაგიდასთან მთვლემარე მარკიორი, მოთამაშეთა მოჩვენებითი ურთიერთპატივისცემა... შესვლისთანავე შემომესმა:

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს, საიდან სადაო?!

ნაცნობები აღმოჩნდნენ, მოვიკითხეთ ერთმანეთი, მე თბილისის ცხელ-ცხელი ამბები ვუთხარი, იმათ თავიანთი თქვეს და სათამაშოდ მიმიპატიჟეს. თან დამაიმედეს, რომ აქ თამაში „დროზეა" და არც გროსმაისტერები არიანო. ავადმყოფებს საერთოდ ეკრძალებათ ბილიარდის თამაში, თითოოროლა თუ შემოიპარება, კარგად მყოფებს კი არა სცალიათ — ავადმყოფებს ემსახურებიან; ისევ ჩვენ, დასასვენებლად ან ნათესავების სანახავად ჩამოსულები თუ ვითამაშებთო.

ორივე მაგიდა დაკავებული იყო.

მართლაც, არ იყვნენ გროსმაისტერები, „ამერიკანკას" თამაშობდნენ და უბრალოდ „აგორებდნენ" — ერთობოდნენ. ნაცნობებში დარჩენა ვამჯობინე. რამდენიმე ხელს ვითამაშებ-მეთქი, — გავიფიქრე. ამ დროს ერთი, ალბათ, ჩემი ტოლი, მაგრამ ჩემზე მაღალი და ბეჭსრული უმაწვილი მომიახლოვდა და ზრდილობიანად მითხრა:

— ახლა ჩემი რიგია, თუ ნებავთ, ვითამაშოთ!

დავთანხმდი.

წილი ვყარეთ და სამკუთხედის დაშლა მას ერგო, დაარტყა, ბირთვები კარგად გაშალა და ერთი მათგანი ჩააგდო კიდეც. ეჰე, ეს არ ხუმრობს ვილაცაა! შემდეგ სამი ბირთვი ზედიზედ მოათავსა ლუზაში. როგორც იტყვიან, არ ამომასუნთქა, ისე მომიგო პირველი ხელი. მეორე პარტიაში მედგარი წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ მაინც მომიგო. წარმატებამ გაახარა ჩემი პარტნიორი, მსუბუქი ნაბიჯით უვლიდა მაგიდას, ლილინებდა და ბირთვს ბირთვზე ათავსებდა ლუზაში. უნდა გენახათ რა სიამოვნებით წერდა ცარცით ქულებს ბილიარდის მაგიდის მწვანე მაუდზე. მესამე ხელიც მოიგო, მეოთხეც. მეხუთე მე მოვიგე, მეც მას მივაძე და მაუდზე მისი ქულების გვერდით ჩემიც მივუწერე 4:1. მეექვსე ხელის თამაშის დროს პარტნიორმა რამდენჯერმე შუბლზე ოფლი მოიწმინდა, დაიღალა, ლოყები აუწითლდა, თვალები გაუგანიერდა, მძიმედ სუნთქავდა. მოგებული იყო, ამიტომ მადლობა გადავუხადე და ფულის გადახდა გადავწყვიტე.

— შენ რა, დაღლილი გგონივარ?! — საკმაოდ უხეშად მკითხა.

— არა, ბატონო.

— ხომ არ გეცოდები?

— არა, ბატონო,

— ჰოდა, ითამაშე, სად გარბიხარ? აქ ყველას დრო თავზე საყრელად აქვს, შენ რა საქმის კაცი გამოჩნდი!

არ მომეწონა მისი ლაპარაკის კილო და არც სახის გამომეტყველება. მაგრამ, რადგან ასე კატეგორიულად მოითხოვა თამაში, დავთანხმდი.

მეექვსე პარტია მოვიგე.

ჩემს პარტნიორს ეტყობოდა, საერთოდ თამაშს და, განსაკუთრებით, წაგებას, ძალზე განიცდიდა. როდესაც ანგარიში 4:4 გახდა, ორჯერ დაახეთქა ჯოხი მაგიდაზე, რაღაცას ბუტბუტებდა გაუთავებლად, სახეზე არ მიყურებდა...

აღარ ღირდა თამაში.

— კმარა, თქვენც დაიღალეთ და მეც! — ვთქვი და ფულის გადასახდელად წავედი.

— მოითმინეთ! — მომაძახა მან, — ფულს მე გადავიხდი!

— არა, ანგარიში საყაიმოა, ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად მე გადავიხდი!

— მოცილდი მაგიდას, თორემ... არ აიღო მაგისგან ფული!

ხმამაღლა ლაპარაკმა ყველას ყურადღება მიიქცია. ჩემი ნაცნობები შემომეხვივნენ, იმისი — იმას, დაგვიწყეს დამშვიდება. მე დასამშვიდებელი რა მქონდა, იგი კი არ ცხრებოდა:

— მთელი თამაშის მანძილზე დამცინოდა, ირონიულად იღიმებოდა, ჩემი ბრალია, ჭკუა ვერ ვისწავლე, ყველასთან ვკადრულობ თამაშს.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— მოეშვი, კაცო, ეგ პოეტი ლადო ასათიანია, არ იცნობ? — ჩამჩურჩულა ამხანაგმა.

არ ვიცნობდი, მაგრამ მისი ბევრი ლექსი წამეკითხა და მომწონდა კიდეც. იმ ხანად გამოდიოდა ლიტერატურული ჟურნალი „ჩვენი თაობა", რომელშიც სისტემატურად იბეჭდებოდა პოეტების ერთი ჯგუფი. მათ შორის იყო ჩემი თანაკურსელი ანდრო ლომიძე, რომელიც ხშირად ახსენებდა ლადო ასათიანს, აქებდა მის ლექსებს, გვიკითხავდა.

მე გავჩუმდი, მაგრამ იგი არ დაცხრა, ვინც შემოვიდა, ყველას მოუყვა, თუ როგორი შეურაცხყოფა მივაყენე.

— წარმოგიდგენიათ, თამაში ყაიმით დამთავრდა და ფულის გადახდა დააპირა, ჩემ მაგიერ იხდიდა ფულს! — იმეორებდა განუწყვეტლივ.

ყოველივე ეს გულში ხინჯად ჩამრჩა. არ ვიცი, იგი რას ფიქრობდა ჩემზე, მე კი მასთან შეხვედრის და დალაპარაკების შემთხვევას ვეძებდი. მართალია, დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ თუ ამას საქმე მოითხოვდა, ბოდიშსაც მოვუხდიდი. მაშ, რა მექნა, მას სრული ფიზიკური და სულიერი სიმშვიდე სჭირდებოდა, მე კი ავალელვე. ამასთან, თბილისში რომ ჩავიდოდი, რა მეთქვა, აბასთუმანში ლადო ასათიანი ვნახე და ვეჩხუბე-მეთქი?! ლადო კი ნამდვილად გამირბოდა. საათობით იჯდა სკვერში, მთვარეს და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას გასცქეროდა.

ერთხელ ერთმა დამსვენებელმა ჰკითხა:

— ძალიან გიყვარს მთვარე?

— რაზე მეტყობა?

— ჩემი ფანჯრიდან ყოველ ღამე გხედავ, როგორ შესცქერი მნათობს.

— გალაკტიონი წაგიკითხავს?

— არა.

— ჰოდა, არც მთვარის სიყვარული გესმოდინება!

□ □ □

...სანატორიუმის კლუბში დიდი თაცი-ფუცი იყო. თვითმოქმედი საღამოს გასამართავად ემზადებოდნენ; ეძებდნენ მომღერლებს, დეკლამატორებს, ფილეტონისტებს, ილუზიონისტებს, სახელდახელოდ პატარა საესტრადო ორკესტრი შეადგინეს. მე თვითმოქმედება თავისი კონცერტებით უნივერსიტეტში მობეზრებული მქონდა, ამიტომ იქაურობას არ ვეკარებოდი, რამდენჯერმე მომაკითხეს, უარით გავისტუმრე, ბოლოს დამიყოლიეს, მაგრამ ჩემი პირობა წავუყენე: გამოვიდოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოეტი ლადო ასათიანი მომცემდა თავის ლექსს წასაკითხად. მეორე დღეს კონცერტის ხელმძღვანელმა ლადოს ხელით დაწერილი უსათაურო ლექსი გადმომცა, რომელსაც ქვეშ ასეთი მინაწერი ჰქონდა — „წაკითხვის შემდეგ დაუბრუნდეს ავტორს". ვერ გავიგე ეს მისი პოეტური კაპრიზი იყო, თუ მე მცდიდა. მაინც წაკითხვა გადავწყვიტე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მასთან შერიგება მინდოდა, მეორეც, მივხვდი, რომ თვითონაც ასეთ განწყობილებაზე იყო, თორემ ლექსს არ გამომიგზავნიდა.

კონცერტი დაიწყო.

კონფერანსიემ ჩემი გვარი გამოაცხადა. პირველად წავიკითხე ი. გრიშაშვილის „ქორწილი ჩვენს უბანში" ორკესტრის თანხლებით; რაც შემეძლო თავი არ დამიზოგავს. ფლეიტა რაღაც აღმოსავლურ ჰანგს უკრავდა, დაფდაფი ბრახუნობდა, მე გაშლილი ხელებით ვიდექი ავანსცენაზე და მთელი ხმით გავყვიროდი „აანთეთ, ჩქარა, შუშხუნები და მაშხალები!"

მაყურებელმა გულთბილად გამაცილა. ერთი წუთის შემდეგ ისევ ავანსცენაზე ვიდექი.

ორკესტრი არ უკრავდა, დარბაზში სიჩუმე სუფევდა, კონფერანსიეს არაფერი გამოუცხადებია, ისე დავიწყე ლადოს ლექსის კითხვა: „როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები! ეს რა უშიეტი ცეცხლით დამბუგე, პირს მარიდებენ ქალიშვილები!"... წყნარად, მკაფიოდ გამოვთქვამდი თითოეულ სიტყვას.

არავის უფიქრია ტაში დაეკრა. დარბაზი გარინდული, გაქვავებული იყო. ფეხაკრეფით გავედი სცენიდან.

მეორე დღეს შევხვდით მე და ლადო, ძმაკაცურად ჩამოვართვით ხელი, ვითომ ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, ჩამოვსხედით და დიდი ხნის უნახავებივით გულთბილი საუბარი გავაბით. ერთი სული მქონდა, მეკითხა წუხანდელი შთაბეჭდილების შესახებ, მაგრამ იგი არ ჩქარობდა, არას რამეს მეუბნებოდა. ბევრი საერთო ნაცნობი გამოგვიჩნდა, ბოლოს მივედით იქ, საიდანაც ჩვენი საუბარი უნდა დაწყებულიყო.

— კარგად წაიკითხე გრიშაშვილის ლექსი, მომეწონა.

— თქვენი ლექსი? — აღარ ვაცადე.

— ...მე ჩემი კარგი ... ლექსს ... ით ვწერდი, ვებრძოდი, ვერკინებოდი იმას, უხილავს, უხსენებელს, ვინც ეს სენი პირველად ადამიანებში გაავრცელა; მე იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში გამოვიწვიე, დავწყევლე: „ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს". შენ კი თვითონ აცრემლდი და მაყურებელიც აატირე, შემდეგ თავჩაქინდრული წაფრატუნდი სცენიდან, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ კულისში სული შეგეხუთა და იატაკზე ზღართანი მოადინე. არა, ძმობილო, ლადოს სიცოცხლე სურს, მას ეტრფის, უგალობს; მოიცა, მოიცა, ვიცი რაც უნდა მითხრა. ამიტომ ვინც წერს, იმან უნდა წაიკითხოს. ლექსი პიესა კი არ არის, სხვისთვის რომ დაწერო. მე როცა ვწერ, ჩემი ლექსისათვის მელოდიაც მაქვს და ინტონაციაც და, რაც მთავარია, მიზანი!

ამ შემთხვევის შემდეგ მალე დავშორდით ერთმანეთს, მერე მე იგი აღარ შემხვედრია.

□ □ □

ლადოს სიკვდილის შემდეგ გამოსულ მის კრებულში ეს უსათაურო ლექსი ყველგან 1941 წლითაა დათარიღებული. შეიძლება ეს პირველად გამოქვეყნების თარიღია, ან მისი ვარიანტი წავიკითხე აბასთუმანში 1939 წელს.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ

---

„გაუწყრა ღმერთი კონსტანტინეს, სწვალა მამაშვილობა, მამაც მოკლა და ძმაცა", — ასე იწყებს XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე თავისი თხზულების იმ ეპიზოდს, სადაც აღწერილია კონსტანტინე ბატონიშვილის დანაშაული და სასჯელი, ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი ფურცელი საქართველოს ისტორიისა.

ზემოხსენებულ ამბავს მოგვითხრობენ როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა კახეთში მყოფი რუსი ელჩების ტატიშჩევისა და ივანოვის ინფორმაცია.

1604 წლის მაისში გამოემგზავრნენ საქართველოსაკენ რუსეთის ხელმწიფის — ბორის გოდუნოვის ელჩები. ერთი თვის შემდეგ უკვე ასტრახანში იყვნენ, სადაც მოსალოდნელი უბედურების პირველი ზარი შემოესმათ. რუსი ელჩების სიტყვით, ასტრახანის ციხისთავს ამცნობდნენ დაღესტნიდან, რომ შაჰ-აბასმა კახეთში გამოგზავნა კონსტანტინე-მირზა და ალექსანდრე მეფის მოკვლა უბრძანა. თითქოსდა კონსტანტინემ ერთგულად შეასრულა შაჰის დანაბარები, საკუთარი ხელით მოკლა მამა და ყიზილბაშებმა იგი კახეთის მეფედ გამოაცხადესო.

1604 წელს არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. კონსტანტინე დიახაც მოკლავს მამას და თვითონ დაიჭერს კახეთის ტახტს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს 1605 წლის მარტში, თვით რუსი ელჩების თვალწინ. ჯერ კიდევ ცხრა თვე დარჩენილა საზარელ ტრაგედიამდე და მომავალში მოსახდენი ამბავი უკვე მომხდარ ამბად ვრცელდება საქართველოს საზღვრებს გარეთ.

რუსმა ელჩებმა მალე შეიტყვეს, რომ 1604 წლის აპრილში ალექსანდრე მეფე ექვსი ათასი მხედრის თანხლებით ეახლა შაჰ-აბასს, რომელსაც ერევნისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული (მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი). სეფიანმა ხელმწიფემ კახეთის ლაშქრის უმეტესი ნაწილი უკან გააბრუნა და დარჩენა უბრძანა მხოლოდ ალექსანდრესა და მის თავად-აზნაურებს.

1604 წლის შემოდგომაზე ტატიშჩევი და ივანოვი უკვე კახეთში იყვნენ და ალექსანდრე მეფის დაბრუნებას ელოდნენ. კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი განაგებდა. მისი მოლაპარაკება რუს ელჩებთან საიდუმლო ვითარებაში ტარდებოდა, მაგრამ ვინ იცის, სადამდე მიუწვდებოდათ ყური შაჰ-აბასის მსტოვრებს. სეფიანთა ირანის ხელმწიფე იჭვნეულად ადევნებდა თვალყურს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და, ალბათ, არაფერი გამოეპარებოდა.

ალექსანდრე მეფეს ბოლოს და ბოლოს მისცეს სამშობლოში დაბრუნების ნება და თან გამოაყოლეს ოთხი ყიზილბაში ხანი სათანადო ლაშქრის თანხლებით, აგრეთვე კონსტანტინე-მირზა. ყიზილბაშ ხანებს ალექსანდრე კახეთის საზღვრამდე უნდა მიეცილებინათ და მერე გაელაშქრათ განჯაზე, რომელიც კვლავინდებურად ოსმალებს ეჭირათ. ხოლო კონსტანტინეს ევალებოდა კახეთის სამეფოში ჯარის შეგროვება და ქალაქ შემახის ასაღებად წასვლა (ასეთი იყო ოფიციალური ვერსია).

1605 წლის 8 მარტს ალექსანდრე მეფე ზაგემში ჩავიდა. ყიზილბაშები კახეთის საზღვარზე, მდ. იორის მახლობლად დაბანაკდნენ. მალე რუსი ელჩებიც გაუდგნენ ზაგემის გზას. მოლაპარაკება ალექსანდრესთან 12 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დღეს ეწვია მამას კონსტანტინე ბატონიშვილი ყიზილბაშთა ჯარის თანხლებით... ძვირად დაუჯდა სიფხიზლის მოდუნება დარბაისელთა მცირე ამალით ზაგემში დარჩენილ კახეთის მეფესა და ტახტის მემკვიდრეს. ისინი დაუნდობლად გამოასალმეს წუთისოფელს.

ტატიშჩევი და ივანოვი დაჟინებით ცდილობდნენ გამოერკვიათ, ერია თუ არა შაჰ-აბასის ხელი 12 მარტს დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიაში. მამისმკვლელი მთელ დანაშაულს თვითონ იბრალებდა. ასევე გულმოდგინედ ირჯება ისქანდერ მუნში, რომ ზნეობრივი უმწიკვლოებისა და კეთილშობილების მოსასხამით შემოსოს თავისი მბრძანებელი. სპარსელი ისტორიკოსის მიხედვით, შაჰ-აბასი უკმაყოფილო იყო კონსტანტინეს საქციელით. მაგრამ ქართული და სომხური წყაროები ერთხმად ადასტურებენ, რომ კონსტანტინე ნამდვილად შაჰ-აბასის დავალებით მოქმედებდა.

რუსმა ელჩებმა დაათვრეს კონსტანტინეს ყიზილბაში მხლებელი, ვინმე მაჰმად-ბეგი და დაწვრილებით გამოჰკითხეს, მოკლა თუ არა კონსტანტინემ თავისი მამა და ძმა შაჰის ნება-დასტურით. მაჰმად-ბეგმა განცვიფრებით წარმოთქვა: „როგორ შეიძლება შვილმა მამა მოკლას და ავიდეს მის ტახტზე შაჰის უცოდნელად? სად გაგონილა და ვის გაუგონია ასეთი ამბავი?!"... მთვრალმა ყიზილბაშმა მერე სრულად გამოამზეურა თავისი ბატონის საიდუმლო. მაჰმად-ბეგის სიტყვით, მკვლელობის წინა ღამეს დაბნეული და შეშფოთებული კონსტანტინე გაუთავებლად იცრემლებოდა. მოთმინება დაელია და გაენდო ყიზილბაშ მხლებელს: „არ ვიცი, როგორ მოვიქცე და რა ვიღონო. თუ მამას მოვკლავ, ღმერთი სასტიკად დამსჯის და თუ არ მოვკლავ, მე თვითონ მომკლავს შაჰი".

ამრიგად, თვით კონსტანტინე აღიარებს (მთვრალი ყიზილბაში მოხელის პირით), რომ თავზარდამცემი მკვლელობის შთამაგონებელი შაჰ-აბასი იყო. სეფიან ხელმწიფეს რუსთმოყვარე და ირანის ორგულ ალექსანდრეს ნაცვლად, რა თქმა უნდა, გათათრებული და მის ხელში გაზრდილ-გაწვრთნილი, მისი ხელის შემყურე და ყურმოჭრილი მონა, ირანის ერთგული კონსტანტინე ერჩია, მაგრამ საბოლოოდ შაჰ-აბასსაც გაუმტყუნდა იმედები. კახეთი ვერ ეგუებოდა ახალ მეფეს. ახლოვდებოდა კონსტანტინეს აღსასრული.

სპარსული და ქართული წყაროების გარდა ამ ამბავს მოგვითხრობს კიდევ ერთი, დღემდე უცნობი წყარო იტალიურ ენაზე. ეს გახლავთ ჯულფელი ვაჭრის რელაცია ვატიკანის არქივებიდან (ხსენებული მასალა ინახება მ. თამარაშვილის პირად არქივში).

ჯულფელი ვაჭრის სიტყვით, კონსტანტინემ ქეთევან დედოფლის ცოლად შერთვა მოინდომა და დაემუქრა, თუ იუარე, მოგკლავო. ქეთევანმა უარი შეუთვალა. კონსტანტინე დახმარებას შეევედრა შაჰ-აბასს და იშოვა ოცდაათი ათასი მეომარი იმ

პირობით, რომ გაილაშქრებდა საქართველოზე, მოკლავდა ქეთევან დედოფალს და კახეთის სამეფოს სეფიანთა ხელისუფლების ქვეშ მოაქცევდა. ქეთევანს აცნობეს მისი მაზლის გამოლაშქრება. მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ხერხი აჰხობინა ღონეს. ამარჩია ორასი საუკეთესო მხედარი და გაატანა წერილი კონსტანტინესთან. ამ წერილში კახეთის დიდებულნი მიმართავდნენ ბატონიშვილს, ძალზე გვრცხვენია მბრძანებლად ქალი რომ გვყავს და მზად ვართ, შენი ქვეშევრდომები გავხდეთ, ჩვენი კანონიერი მეფე და ბატონი შენა ხარო. კონსტანტინე უკვე კახეთის საზღვარზე იმყოფებოდა, როდესაც შიკრიკი შეეგება. მან აღტაცებით წაიკითხა კახეთის დიდებულთა წერილი, გამხიარულდა, აღარ დაუყოვნებია, საჩქაროდ გაიჭრა წინ და თავისი ლაშქარი უკან ჩამოიტოვა. მცირე ამალის თანხლებით მოუახლოვდა კახეთის სამეფოს რჩეულ მხედრებს, ხმამაღლა გამოელაპარაკა, თავისი სიხარული ამცნო, მადლობას უხდიდა ერთგულებისათვის და კმაყოფილი წარმოთქვამდა, ახლა მთელი კახეთი გამაჰმადიანდება და ყოველგვარ შფოთსა და არეულობას სამუდამოდ ბოლო მოეღებაო. ის-ის იყო, უნდა გადახვეოდა თავის მომავალ ქვეშევრდომებს, როდესაც ერთმა მათგანმა გრძელი შუბი აძგერა ყელში და მძიმედ დაჭრა. კონსტანტინემ გაქცევა დააპირა, მაგრამ მეორე მხედარმა ხმალი მოუქნია და შუაზე გაჩეხა.

ჟულფელი ვაჭრის რელაციას ერთგვარად წაავავს ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობი. ქართველი ისტორიკოსის სიტყვით, კახეთის თავადებმა კონსტანტინეს ურჩიეს: მცირე ამალით ლაშქარს წინ წაუდექი, კახნი გიცნობენ და სახვეწრად კაცს გაახლებენო. იმანაც დაუჯერა და თავის ლაშქარს წამოსცილდაო. „ულალატეს და წინდამ და უკნიდამ წაუშინეს", — აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე.

სამშობლოს მოღალატესა და მამისმკვლელს ღალატითვე გაუსწორდნენ. უკეთესი სიკვდილის ღირსი ის არა ყოფილა!

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „ეს ამბავი შაჰაბაზ ყაენს მისწერეს და ნამეტნავად ეწყინა, მაგრამ სოფლის საფერისათ ასრე ბრძანა: ხელმწიფე შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო".

ისქანდერ მუნში და ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავენ, მამის მოკვლის შემდეგ კონსტანტინემ მხოლოდ ექვსი თვე იცოცხლაო და იმოწმებენ სპარსულ ლექსს: „მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქს, თუნდაც რომ ქნას, ექვს თვეზე მეტს ვერ გაძლებს". სპარსელი ისტორიკოსი არ ასახელებს ამ სტრიქონების ავტორს, ფარსადანი კი შენიშნავს, ძველი ნათქვამი იყო და აქაც ნათქვამიაო გაცხადდაო.

დამოწმებული ლექსი ეკუთვნის გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის კალამს...

**თამაზ ნატროშვილი**



## ნამეხარი მუხა

ქისტაურში გაგონილი ეს ამბავი მართალია თუ ლეგენდა, მტკიცებას ვერ მოვყვები.

...ერთხელ გვიანი შემოდგომისას ილია ყვარლიდან ახმეტას მიემგზავრებოდა. ალაზნის ფონზე ქისტაურელ ბერუაშვილებს, ბუზალაძეებსა და დეკანოსიძეებს გადაყრია. ეხვეწნენ და ემუდარნენ თურმე გლეხები ილიას; პატივი დაგვდე, ჩვენი მუხის ქვეშ პური გატეხეო. ბოლოს დაითანხმეს და ასწლოვანი მუხის ქვეშ ალალი პურმარილი უჭამია ილიას; ერის მოჭირნახულეს დიდი ყანწით შეუსვამს საქართველოს სადღეგრძელო.

ქისტაურელები ამ ამბავს თაობიდან თაობას გადასცემენ. საუკანთ ზვრებში თითქმის საუკუნის წინათ გამართული ამ პურადობის ამბავი ახლაც ყველასათვის ძვირფასია.

ამ ამბავს გაგრძელებაც აქვს; ოციოდე წლის წინათ ილიას რომელიღაც ბიოგრაფს საეჭვოდ მიუჩნევია ჭავჭავაძის ლხინი ქისტაურელ გლეხებთან. გიორგი ლეონიძე რისხვად დატეხდა თურმე თავს იმ მკვლევარს: მთელი საქართველო ილიას ფეხდანადგამია და საუკანთ ვენახი რაღა ბედენააო. ხალხს ლამაზი გადმოცემა შემოუნახავს, ხალხს ასე სჯერა, სწამს და ეს ვინ ოხერია, ამ ტკბილი მოგონების წართმევას რომ ლამობსო, — ბობოქრობდა გოგლა.

ერთხელ ზაალ ყალამაშვილს ვკითხე — ნეტავი, მართლა თუ დგას საუკაშვილების ვენახში მუხა-მეთქი?

ზაალმა უსიტყვოდ მოატრიალა მანქანა, გზიდან გადაუხვია და ალაზნის ჭალებისკენ გაიჭრა.

— ეგ მუხა გიორგი საუკაშვილის ვენახში იდგა. ვეებერთელა რამ იყო, სამი-ოთხი წელი იქნება, მეხი დაეცა და დაიწვა. ნამწვავს რომ ნახავ, მაშინ მაინც არ დაიჯერებ?! — მითხრა მან.

გამოჩნდა საუკანთ ზვარი, მე დავინახე ნამეხარი მუხა — დანახშირებული გოლიათი კუნძი, რომელიც ვეება ფესვებით ჩაკვროდა მიწას, ჩაკვროდა კი არა, ჩაფრენოდა, ჩაბღუჯოდა. ნამეხარს ირგვლივ შემოეუარა, აღმოსავლეთის მხარეს, საშხეოზე, კარგა ღონიერ ყლორტს ამოეყარა; ქამთასვლისაგან დამსკდარ ფესვზე ეხარა ნორჩ მუხას. ლარივით სწორი, თამამი ყლორტი ხასხასა კანით და წვრილი ტოტებით ნებიერად აშოლტილიყო მზისაკენ.

ვერ გეტყვით, რატომ მეჩვენა ნამეხარი მუხის ბადიში სიმბოლური ქისტაურელების რწმენასთან, რომ აქ ილიამ საქართველოს სადღეგრძელო დალია...





## ერთგულება

ცალგულა ზედმეტი სახელია, ისე კი მინდია ქვია და გვარად არაბულია. ერთი ალალი მწყემსი კაცია. ვიდრე „ჯალაბს" მოიკითხავდეს, ჯერ „საქონელი" როგორ გყავსო იკითხავს... რამდენი სიგარეტი და ათასი ჯურის პაპიროსი ღლს ქვეყნად, ის კი მაინც შინ დაკეპილ თუთუნს ეწევა — ასე მირჩევნია, ქარხნის თუთუნი „ბოშიაო", — დაუჩემებია.

ყიზლარში შევხვდით. ავი ზამთარი იდგა კასპიისპირეთში, მაგრამ ცხვარს „არ ელალატების" და ქარაშოტში ნაბადმოსხმული ბაჯაგნის მინდვრებზე ცხვარს რომ გაჰყვა, მეც დავემგზავრე. ვიფიქრე, ერთ ხანს ვიქნები, შემცივდება და ბინაც აქვეა, მოვბრუნდები-მეთქი; მაგრამ ცალგულამ იმდენ და თანაც ისე საინტერესო ამბებში გამხვია, ვიდრე არ გაგითოშე, ვიდრე ძალით არ დამითხოვა, ბინა არც გამხსენებია.

... ცალგულას ორი ლეკვი ჰყავდა, ჯიშიანი მწყემსური ძაღლის ლეკვები ლომის ბოკვერებს გავდნენ. აბა, იმათ საალერსოდ ვის ეცალა, მაგრამ თუ ვინმე გეთამაშებოდა, ცალგულა მაშინვე დატუქსავდა ხოლმე — ძაღლებს ნუ მირყვნით, მაგათ ისეთი ფერი ადევთ, კარგები უნდა დაიზარდონ და ფერებით არ გამიფუჭოთო.

აცხებდათ ყველა კეთილი! მართლაც, ჩინებული, გონიერი და რაც მთავარია, ერთმანეთის ერთგულნი დაიზარდნენ ის ლეკვები — გულადა და მურია. ერთი რომ რაიმეს ან ვინმეს დაეტანებოდა, მეორე მაშინვე მხარს აუბამდა, არც ჯოხს ერიდებოდნენ, არც ქვას...

თურმე ცალგულას ერთი დუშელი მწყემსი შეუჩნდა, გინდა თუ არა, მომყიდე ერთ-ერთი ძაღლიო. უარი რომ უთხრეს, მან იფიქრა ფასი ეცოტავაო და მოუმატა საფასურს... რაღა ბევრი გავაგრძელო, გულადა ცალგულას წაგლიჯეს.

საზაფხულოდ მშობლიური მთები რომ მოიარეს და ზამთრისპირს ისევ ყიზლარში დაბრუნდნენ, ერთ დილას ცალგულამ დასისხლიანებული, დაგლეჯილი გულადა დაინახა. იწვა თეოზე მურასთან ერთად და ენით ჭრილობებს ილოკავდა. ცალგულამ სალაფავი მიუტანა ძაღლებს, გულში გადაწყვიტა — ის დუშელი თუ გამოჩნდა, ძაღლს აღარ გავატანო.

დილით არც გულადა და არც მურა აღარ დახვდათ მწყემსებს. უძახეს, ეძებეს — თქვენც არ მომიკვდეთ! ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერაფერი გაიგეს.

მხოლოდ კვირის თავზე დაბრუნდნენ ძაღლები, დაბრუნდნენ და ის დუშელი მწყემსიც მოიყოლიეს. გაოცებული იყო ეს ბევრისმნახველი მოხუცი. სულ მუხლებზე იბარტყუნებდა ხელებს — ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა, ეგ რა ქომაგი ყოფილა კაცოო.

... შემოჩვევია ფარეხს ნადირი. ერთ ღამეს ორი ძაღლი გაგუდა და ცხვარი მაინც გაიტაცა. მეორედ გულადა დაგლიჯა და დაასისხლიანა. მწყემსებს მოესმათ თურმე მათი ბრძოლის ხმა. სროლა ატეხეს და დაფრთხა ნადირი.

ორი დღე ფარეხის წინ ეგდო გულადა, ჭრილობებს ილოკავდა, მერე ის იყო, გაქრა და ისევ რომ გამოჩნდა, თან მეორე ძაღლი მოიყვანა... ფარეხის ძაღლებმა უცხოს შეუტიეს, მაგრამ გულადამ და მურამ ერთ-ორს კბილი გაკრეს და თეოზე დაიდეს ბინა.

— მე ის მაკვირვებდა, ცხვარს რომ არ დაყვებოდნენ, სულ ერთთავად თეოზე ეყარნენ, თითქოსდა ვიღაცას ელოდებიანო, — ყვებოდა გაოცებული მწყემსი, — მერე იმ ღამეს...

იმ ღამეს ისევ მოეჭრა ნადირი ფარეხს, ძაღლები წკმუტუნით მოაწყდნენ ბინებს და ვიდრე მწყემსები გონს მოვიდოდნენ, ვიდრე ისინი თოფებით გარეთ გამოცვივდებოდნენ, მურია და გულადა შებმოდნენ მტაცებელს.

სიბნელეში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა, იმის შიშით, ძაღლები არ დავხოცოთო, მწყემსები ჰაერში ისროდნენ თოფებს. მერე ყველაფერი მიწყნარდა და ფარნის შუქზე მწყემსებმა გაგუდული აფთარი იპოვეს. იქვე იწვნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ გულადა და მურია.

— დილით ბალღი მეუბნება, ძაღლები მიდიანო, ვეძახე, მაგრამ დარდი არა გაქვს?!.. აღარც მომხედეს, მაშინვე მივხვდი, სადაც მოდიოდნენ...

— მერე რა არ მაძლია ამ ძაღლებში, არაფერი გამოუვიდა... ისე პირიანი კაცი კი იყო, აღარც თავისი ოთხი ცხვარი წაიყვანა. დაკალი და მაგ ძაღლებს აჭამე, მაგათზე უპრიანიაო, — და ამთავრა სათქმელი ცალგულამ.

### ხალხური ლექსი

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეები იყო. ხოვლეს შემდეგ, სადაც იმ დღეს თითქოს მთელმა საქართველომ მოიყარა თავი, ჩვენი გადამღები ჯგუფი ნოსტეს ეწვია.

გვიან საღამომდე მოვუნდით სააკაძისეული ციხე-დარბაზების, ნასახლარების გადაღებას. ქანცი აღარ ჰქონდა კინოოპერატორ ბორის ბერუაშვილს, არც ჩვენ გვადგა უკეთესი დღე.

ლუკმის გასატეხად ოჯახში მიგვიწვიეს.

ცხადია, პირველი სადღეგრძელო დიდი ივანესი შეისვა. ყველამ თავისი თქვა, ერთი ჭარმაგი ნოსტელი გლეხი ადგა და ლექსად წარმოთქვა:

„ციციაანთ ქალობაო,
თარხნააანთ გალობაო,
ბაგრატოვანთ ქონებაო,
ჯავახაანთ გონებაო."

ეს ლექსი აღვიქვი როგორც ხალხის მრავალწლიანი დაკვირვების შედეგი, ამიტომ ჩავიწერე.

**გივი ჭელიძე**


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ილია ვეკუას ხსოვნას

ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთ-ერთი თავისი საამაყო და სასიქადულო მამულიშვილი. წავიდა ჩვენგან მაღალი ნიჭით ცხებული, სახელოვანი საზოგადო მოღვაწე, ქართული მეცნიერების მშვენება, თანამედროვეობის გამოჩენილი მათემატიკოსი და მექანიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი — აკადემიკოსი ილია ნესტორის ძე ვეკუა.

მისმა გარდაცვალებამ ჭეშმარიტი მწუხარებით შეძრა ქართველი საზოგადოებრიობა. ჩვენგან წავიდა ბუმბერაზი მეცნიერი, რომელმაც თავისი შინაარსითა და აზრით აღსავსე სიცოცხლე, სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის საქმის სამსახურს მოახმარა.

ნათელი გონება, საქმისადმი უანგარო სიყვარული, უბრალოება და სისადავე — ყველა ამ თვისებით დაიმსახურა ილია ვეკუამ ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა.

ქართველი ხალხი, საბჭოთა მეცნიერება უდიდესი გულისტკივილით გამოეთხოვა დიდ ადამიანს, რომლის წარჩინებული სახელი და ღვაწლი საუკუნოდ შევიდა სამამულო მეცნიერების მატიანეში.

დიდი მამულიშვილის ილია ვეკუას მაღალი ნიჭით შუქფენილი განვლილი გზა, სამეცნიერო მოღვაწეობა, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ასე ერთგულად და თავდადებით ემსახურა იგი, სამაგალითო იქნება თაობებისათვის.

მადლიერი შთამომავლობა საუკუნოდ შეინახავს აკადემიკოს ილია ვეკუას ხსოვნას.

# ვარლამის ჯორი

— ქალის გადასანახულებლად უნდა წავსულიყავი სვირში, — დაიწყო ბარნაბა ბიძიამ მოყოლა, — მოლაპარაკებული ვიყავი, ბიცოლაჩემს უნდა დაეპატიჟებია ის გოგო თავისი ნათესავებით.

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი და თავმოყვარე ყმაწვილი კაცი ფეხით ხომ არ წავიდოდი ზესტაფონიდან სვირამდე და ჩემ მეზობელს — ვარლამიას ჯორი ვთხოვე.

დილა ადრიან ჯორზე შევჯექი და სვირის გზას დავადექი. ზესტაფონი რომ ჩავათავე და მინდორში გავედი, ჯორი გაჩერდა, გადავკარი წკნელი, გაგიგონია? ფეხი არ გაადგა არც იქით, არც აქეთ; შევუწყერი, შენც არ მომიკვდე, ვითომ არც გაუგია, გადმოვხტი ჯორიდან და სადავე მოვწიე, ჯორმა კისერი კი წაიგრძელა, მაგრამ ფეხი არ გადაადგა.

ისევ სადავეს ვეცი და დიდი უბედურებით რამდენიმე მეტრი გავაჩოჩე. ჯორს ასე ჩოჩვა ჭკუაში არ დაუჯდა და ადგილიდან დაიძრა.

ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, ჯორი ისევ შედგა; რას ვიზამდი, ჩამოვედი, ხან ვეფერე, ხან გავუწყერი, ხან ვურტყი, არაფერი გამოვიდა, მერე ისევ სადავე მოვქაჩე და ჩოჩვა-ჩოჩვით ოციოდე მეტრი გავატარე.

ჯორს, ალბათ, ფეხები ეტკინა, ნაბიჯის გადადგმა რომ იკადრა; მე უცბად შევახტი ზურგზე და ასე ცოტა კიდევ ვიარეთ.

მუხის ძირას, წყაროსთან ჯორი ისევ შედგა. გადავირიე კაცი, გადავუჭირე წკნელი, აინუნშიაც არ ჩააგდო. რაღას ვიზამდი, ისევ ვეხვეწე, ვაგინე, ვწყევლე, ვლანძღე, ვეფერე, ხან მივაწექი, ხან გავწიე, მოვკვდი კაცი, დავიღალე, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა სახეზე. ახალი გაწკეპილი ჩოხა მთლად შემომეჩლაჩა ტანზე. დილის ოთხი საათიდან რომ ვიცვი „აზიაცკები", მტვერსა და ტალახში ამოვგანგლე, რას იზამ, მოკალი თუ გინდა, არ მიდის და...

ამ ჯიკავში მზე კარგად გადაიწვერა. ოჰ, რას წუხდა, ალბათ, საწყალი ბიცოლაჩემი, ამდენ ხანს რომ არ გამოვჩნდი.

მზე ჩადიოდა სვირი რომ გამოჩნდა. რა მექნა, ასე ჯიკავ-ჯიკავით ხომ არ შევიდოდი სოფელში, მასხრად ამიგდებდნენ, რომელ ქალს მოვეწონებოდი, თუ გიყვარდე, ასე გასაცოდავებული. გავსკდი გულზე და ისე მაგრად მოვქაჩე სადავე, რომ კინაღამ დავაღრჩვე. ჯორს არ ეჭაშნიკა ჩემი გაცეცხლება და იკადრა ფეხის გადადგმა. შევჯექი ზედ და ასე თოხარიკით და ვაიუბედურებით შევედი სოფელში.

ჯორი, რაღაც ღმერთია, შედარებით პატიოსნად მიდიოდა სვირის ორღობეებში.

კარგა შებინდებული იყო, ბიცოლაჩემის ჭიშკარს რომ მივადექი. იქ ყველაფერი კარგა ხნის წინ დაემზადებიათ. შიმშილისაგან ქანცგაწყვეტილ სტუმარ-მასპინძელს ნარდის თამაშისა და საოჯახო ალბომის თვალიერებისათვის თავი დაენებებია და ახლა მოუთმენლად გაყურებდნენ გზას ჩემ მოლოდინში.

ყრუანტელმა დამიარა, როდესაც აივნის ბოძთან ბიცოლაჩემის მიერ არჩეული, ახალ ტანსაცმელში საგანგებოდ გამოწყობილი შოლტივით გოგო დავინახე, დედ-მამით, ბიძებით და ნათესავებით გარშემორტყმული.

— ბარნაბა მოდის! — იყვირა ხალხმა.

— მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ! — შვებით ამოისუნთქა ბიცოლაჩემმა და ჩემს შესაგებებლად წამოვიდა.

ხალხი გამხიარულდა, შეიქნა ერთი ყრიამული. შოლტივით გოგო ბოძს ამოეფარა და იქიდან იყურებოდა. ასე ამხედრებული ჭიშკარს მივადექი და ის იყო უნდა ჩამოვმხტარიყავი, უცებ ჯორი შეტრიალდა, თვალისდახამხამებაში ადგილს მოწყდა და შურდულივით უკან გავარდა.

ჯორზე შევრჩი. გონს რომ მოვედი, ჯორი ბედაურივით მიქროდა მინდორში. რომ გადმოვმხტარიყავი, ისე დავიმტვრეოდი, კაციშვილი ვერ ამკრეფდა.

ჯორს ჩახუტებული ბედს მივენდე. ჯორმა ქარზე უსწრაფესად გადაჭრა მინდვრები, ქვიანი ღორღები, მთები და ტყეები. სვირამდე თუ მთელი დღე მოვუნდით სიარულს, ზესტაფონში სარეკორდო ვადაში ჩამომიყვანა. ზესტაფონშიც არ შეუნელებია სიჩქარე, ახლა რომ გაჩერებულიყო, რა ჯანდაბად მინდოდა. ვარლამიას ეზოსთან რომ მივიდა, ჭიშკართან ლურსმანივით დაერჭო.

შერცხვენილი და წამხდარი ჩამოვბობღდი ჯორიდან და ჩემი ეზოსკენ წავლასლასდი.

**ნანა მჭედლიძე**



# ედელვაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შენ მომწონდი, მწამდა შენი, მჯეროდა შენი, —
სხვა რომ ვერავინ მოსწვდებოდა ჩემ უბიწობას,
ამ მარადიულ დიდ თოვლობაში შენთვის დავსახლდი
ფეხდაუდგმელ მწვერვალებზე რადგან ვიცოდი,
ერთი შესძლებდი მხოლოდ სიყვარულისთვის
თავის განწირვას.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა მორის ფოცხიშვილმა ეს სიტყვები ერთ-ერთ ულამაზეს ყვავილს ედელვაისს მიუძღვნა.

ედელვაისი მართლაც რომ იშვიათი ყვავილია. იგი ველურად იზრდება მაღალ და მიუვალ მთებში. ყველას როდი შეუძლია მისი ნახვა; ჩანჩქერები, დახრამული კლდეები, თოვლითა და ყინულით დაფარული მწვერვალები ძნელად მისაწვდომს ხდის ედელვაისს.

ედელვაისი დაბალი ტანის მრავალწლოვანი მცენარეა. ამ ულამაზეს, ლაჟვარდისფერ ყვავილს ფოთლები დაფარული აქვს თეთრი და მოკლე ბუსუსებით, რომლებიც მას ქარისა და სიცივისაგან იცავენ.

პირინეის, ალპებისა თუ კარპატების ალპურ მთებში წამოზრდილი ედელვაისის შესახებ საუკუნეების მანძილზე ათასგვარი თქმულებები და ლეგენდები იქმნებოდა.

ბევრს სწამდა, რომ ედელვაისის პოვნა აუცილებლად დიდ ბედნიერებას მოუტანდა ადამიანს.

ედელვაისი სიყვარულის სიმბოლოა. კარპატებში მცხოვრებთა ტრადიციით, თუ ვაჟი შესძლებს მოიძიოს ედელვაისი და მას ქალიშვილს მიუძღვნის, სიტყვიერი ახსნა-განმარტება საჭირო აღარ არის: ეს იმას ნიშნავს, რომ ვაჟი ეტრფის და ხელს სთხოვს ქალიშვილს.

ორიოდე წლის წინათ ბუნების მოყვარულმა ავსტრიელმა ენთუზიასტებმა ჩამოაყალიბეს გაერთიანება, რომელსაც „ედელვაისის სამსახური" დაარქვეს. ამ გაერთიანების მთავარი დანიშნულებაა, გადაშენებისაგან დაიცვას ბუნებისგან მომადლებული ულამაზესი რელიკტური ყვავილი — ედელვაისი. ენთუზიასტები ენერგიულად ებრძვიან უამრავი ტურისტებისაგან ედელვაისის ხელყოფას. მათ მთებში მოწყობილი აქვთ საგანგებო საგუშაგოები, სათვალთვალო პუნქტები, რადიოგადამცემები. ყოველივე ეს ხელს უწყობს ტურისტებისაგან ედელვაისის ისედაც იშვიათი ნიმუშების დაცვას, სხვადასხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას.

საბჭოთა მეცნიერი ი. ბობროვსკი პირველი იყო, რომელმაც შეძლო ედელვაისის თესლის მოპოვება.

მაღალი მთების შვილი ედელვაისი ახალ პირობებში პირველ წელსვე აყვავდა, მაგრამ თესლი არ გაიკეთა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ბობროვსკიმ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ სპეციალური აგროტექნიკური ხერხები და მეთოდები შეიმუშავა ედელვაისის გასამრავლებლად.

ნაყოფიერმა მეცნიერულმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. ხელოვნურად გაშენებულმა ედელვაისმა სისტემატიურად დაიწყო თესლის მოცემა. შესაძლებელი გახდა შექმნილიყო სათესლე ფონდი და დიდი რაოდენობით დაგვეწყო ედელვაისის გაშენება.

წითელ წიგნში შეტანილი ედელვაისი ჩვენი ქვეყნის მრავალი მშრომელისათვის ხელმისაწვდომი გახდა და საამოდ დაამშვენა მათი საცხოვრებელი ბინები.

**გიორგი დათუაშვილი**



# ჟილმარიდან-ზაგალომდე

ბოლო ხუთი მსოფლიო ჩემპიონატიდან სამში ბრაზილიელებმა გაიმარჯვეს.

გავიხსენოთ, ვინ მოუტანა ბრაზილიელებს მსოფლიო ჩემპიონობის ოქროს მედლები. 1958 წელს შვეციაში ესენი იყვნენ: ჟილმარი („სანტოსი") — ჯ. სანტოსი („პორტუგეზა"), ნ. სანტოსი („ბოტაფოგო") — ზიტო („სანტოსი"), ბელინი („ვასკო და გამა"), ორლანდო („ვასკო და გამა"), გარინჩა („ბოტაფოგო") დიდი („ბოტაფოგო"), ვავა („ვასკო და გამა"), პელე („სანტოსი"), ზაგალო („ბოტაფოგო").

1962 წელს ჩილეში გაიმარჯვეს: ჟილმარმა — ჯ. სანტოსმა, ნ. სანტოსმა — ზიტომ, მაურომ („სანტოსი"), ზიზიმომ („ბანგუ") — გარინჩამ, დიდიმ, ვავამ, ამარილდომ („ბოტაფოგო)" და ზაგალომ.

და ბოლოს 1970 წელს მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონობა გუნდმა ასეთი შემადგენლობით მოიპოვა: ფელიქსი („ფლუმინენზე") — კარლოს ალბერტო („სანტოსი"), ბრიტო („ფლამენგო") პიაცა („კრუზეირო"), ევერალდო („გრემიო") — კლოდოალდო („სანტოსი"). გერსონი („სან-პაულუ") — ჟაირზინიო („ბოტაფოგო") ტოსტაო („კრუზეირო"), პელე, რიველინო („კორინთიანსი").

სად არიან, რას აკეთებენ ფეხბურთის ეს განთქმული დიდოსტატები?!

ჟილმარი, რომელსაც ევროპელი ექსპერტები ბრაზილიაში ყველა დროის უძლიერეს მეკარედ მიიჩნევდნენ, ახლა სან-პაულუს შტატის პროფესიონალ ფეხბურთელთა გაერთიანების თავჯდომარეა.

ფელიქსი, რომელმაც ჟილმარი შეცვალა ბრაზილიის ნაკრების კარში, კვლავ თამაშობს. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მის შემდგომ კარიერას წერტილი დაუსვა მძიმე ტრავმამ. გამოჯამრთელების შემდეგ ფელიქსი „ფლუმინენზეს" შემადგენლობაში აღადგინეს, სადაც ახლა იგი იცავს... სათადარიგო შემადგენლობის კარს!

ჯალმა სანტოსი ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერეს მცველად ითვლება. მან მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 4 (!) ჩემპიონატში. აქედან ორჯერ ოქროს მედალი დაიმსახურა. მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, მწვრთნელი გახდა, მაგრამ ამ ახალ სარბიელზე არა ჰქონია რაიმე წარმატება. ერთხანს ბოლივიის „პარანას" ავარჯიშებდა, მაგრამ ვერაფერს გახდა; ახლა სანტოსი ერთი უმნიშვნელო გუნდის მწვრთნელია.

ნილტონ სანტოსი — ასევე ყველა დროის ერთ-ერთ უძლიერეს მცველად ითვლება. მას შემდეგ, რაც თამაში შეწყვიტა, ერთხანს ტელეკომენტატორობა სცადა, მაგრამ ამაოდ; მაშინ „მარაკანას" სტადიონზე სპორტული საქონლის მაღაზია გახსნა. რახან ფეხბურთი მისი ნამდვილი მოწოდებაა და სხვა საქმიანობას ვერ შეეგუა, ნილტონ სანტოსი, რომლის ხელოვნებასაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა ფეხბურთის მთელი სამყარო, დღესაც, 50 წლის ასაკში (!) განაგრძობს თამაშს. იგი „ბოტაფაგოსთან" არსებულ სამოყვარულო გუნდში გამოდის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთელი თავისი კარიერა ნ. სანტოსმა სწორად „ბოტაფოგოში" გაატარა.

კ. ალბერტო — იმ ნაკრების კაპიტანი გახლავთ, რომელმაც 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. 1976 წლის ზაფხულამდე „სანტოსში" თამაშობდა, თან ისე ძლიერად, რომ დაისვა საკითხი ბრაზილიის ნაკრებში მისი დაბრუნების შესახებ. კ. ალბერტომ სხვა გზა აირჩია — ნიუ-იორკის „კოსმოსში" გადავიდა და ფაქტიურად თავისი ხანგრძლივი კარიერა ამით დაასრულა.

ბელინი — ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, 47 წლის ასაკში კვლავ თამაშობს ფეხბურთს, მართალია, ვეტერანთა გუნდში. იგი აცხადებს, რომ არ შეუძლია დაანებოს თავი თამაშს. როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ბელინი არ აცდენს არცერთ მატჩს „მარაკანას" სტადიონზე. იყო დრო, როდესაც ბელინი მწვრთნელობას შეეცადა, მაგრამ ამ საქმეში წარმატებას ვერ მიაღწია.

მაურო — მას შემდეგ, რაც ნაკრებში თამაში შეწყვიტა, მცირე ხნის განმავლობაში მექსიკაში გამოდიოდა ერთ ადგილობრივ კლუბში, შემდეგ იქვე დაიწყო მწვრთნელობა, იქ მისი კარიერა წარუმატებელი გამოდგა. შემდეგ „სანტოსის" აპარატში დაიწყო მუშაობა, სადაც დღემდე მუშაობს.

ზიზიმო პერუში გადავიდა საცხოვრებლად. ჯერ ლიმას „სპორტ ბოისის" ფეხბურთელი გახდა. შემდეგ — ამავე გუნდის მწვრთნელი. ამასწინათ ზიზიმო ავტოკატასტროფისას გარდაიცვალა.

ზიტო — ეს დიდებული ნახევარმცველი ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. პელესთან არავინ იყო ისე კარგად შეთამაშებული, როგორც ზიტო. დღეს კლუბ „სანტოსში" მუშაობს, სადაც მთელი თავისი სპორტული კარიერა გაატარა.

დიდი — ბრაზილიის ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე წარმომადგენელი. ყოველთვის ბევრს მოგზაურობდა. ბრაზილიაში; თამაშობდა „მადურეირაში", „ფლუმინენზეში", „ბოტაფოგოში", „სან პაულუში", ესპანეთშიც — მადრიდის „რეალას" შემადგენლობაში, სადაც მეტოქეობას უწევდა დი სტეფანოს. მას შემდეგ რაც თამაშს თავი დაანება, პერუს „სპორტინგ კრისტალის" ეროვნული ნაკრების მწვრთნელი იყო. შემდეგ ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტს" ჩაუდგა სათავეში. ბოლო წლებში წარმატებით წვრთნიდა სტამბოლის „ფენერბახჩეს".

კლოდოალდოს სპორტული ბედი, მართლაც რომ გასაოცარია. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ისე მძიმედ დაშავდა, რომ ორწელიწადნახევარს მკურნალობდა. თითქოს კლოდოალდოს სამუდამოდ უნდა დაენებებინა თავი თამაშისათვის, მაგრამ ნურას უკაცრავად! ახლა კლოდოალდომ სავსებით აღიდგინა საბრძოლო ფორმა და ბრაზილიის ნაკრების მესვეურები აპირებენ კვლავ მოუხმონ მას. ყოველ შემთხვევაში, კლოდოალდო ისევ ითვლება თავისი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ნახევარმცველად.

რიველინო 31 წლისაა. იგი უდიდესი ტემპერამენტის მოთამაშეა, ამჟამად უძლიერესად ითვლება ბრაზილიაში. იგი 100-ზე მეტად გამოვიდა ეროვნულ ნაკრებში. მიმომხილველები მიიჩნევენ რომ რიველინო საცაა მოხსნის ინგლისელ ბობი მურის მსოფლიო რეკორდს (108 მატჩი ეროვნულ ნაკრებში). თვით რიველინო დიდი იმედით მოელის მსოფლიო მორიგ ჩემპიონატს არგენტინაში, რის შემდეგ ბრაზილიის დატოვებას აპირებს, რათა თავისი კარიერის ბოლო წლები ესპანეთის ან პორტუგალიის რომელიმე დიდ კლუბში გაატაროს.

ლეგენდარული გარინჩა მრავალ საქმეს მოეკიდა, მაგრამ ცხოვრებისეულ სიტუაციაში გაცილებით ცუდად ერკვევა, ვიდრე თავის საყვარელ ფეხბურთში: მას შემდეგ რაც ყველაფერში ხელი მოეცარა, გარინჩა (იგი 44 წლისაა) ისევ ფეხბურთს დაუბრუნდა. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროფესიული მინი — ფეხბურთელი გახდა. სისტემატურად თამაშობს დარბაზებში, ცხადია, მაყურებელიც არ აკლია.

ჟაირზინიოს, ამ ბრწყინვალე თავდამსხმელს, ბედი არ წყალობს, არაერთგზის დაშავდა. ბოლო წლებში „ბოტაფოგოშიც" თამაშობდა, „კრუზეიროშიც", მარსელის „ოლიმპიკშიც" (საფრანგეთი). ახლა ვენესუელის კლუბ „დეპორტივო პორტუგეზაში" გამოდის. ჟაირზინიოს ბრაზილიის ნაკრებში ნათამაშევი აქვს 99 მატჩი. ძალზე სურს საიუბილეო მეასე შეხვედრაც ჩაატაროს „მეასედ თამაშის საშუალებას მისცემენ, თუ პირობას დასდებს, რომ ეს მატჩი მისთვის უკანასკნელი იქნება", — ასეთია ნაკრების მესვეურთა პასუხი. ერთი სიტყვით, ჟაირზინიო „ჩამოშორდა" დიდ ფეხბურთს.

ვავა, ცენტრალური თავდამსხმელი გოლის იშვიათი ალღოთი, კარგა ხანია მწვრთნელი გახდა; ახლა იგი ესპანეთის „გრანადას" უდგას სათავეში.

ტოსტაოს დიდებული კარიერა შეწყდა მას შემდეგ, რაც ცენტრალურ თავდამსხმელს თვალების სერიოზული ავადმყოფობა დაეწყო. ორმა ოპერაციამ მას ვერ უშველა. ამის შემდეგ ტოსტაო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა.

პელემ როგორც ცნობილია, პირველ ოქტომბერს ითამაშა თავისი უკანასკნელი გამოსათხოვარი მატჩი და ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კლაუდიო კუტინიოს კონსულტანტი გახდა. მას შემდეგ, რაც მისი სამწლიანი კონტრაქტი ნიუ-იორკის „კოსმოსთან" დამთავრდა, ამ კლუბის მესვეურებმა „შავ მარგალიტს" ახლა, ასევე სამწლიანი ხელშეკრულება შესთავაზეს. ისინი მიიჩნევენ, რომ პელემ ძალზე ბევრი გააკეთა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთის განვითარებისათვის. თუ პელეს ჩამოსვლამდე „კოსმოსის" მატჩებს 5000 მაყურებელიც კი არ ესწრებოდა, ახლა ეს რიცხვი გახუთკეცდა, მაგრამ პელემ არ უსმინა მათ და გადაწყვიტა „კარიერა ლამაზად დაამთავროს". აშშ-ში სამწლიანმა ყოფნამ მას მრავალი ბრაზილიელი გულშემატკივარი დაუკარგა. ისინი მიიჩნევენ, რომ პელე 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კიდევ გამოადგებოდა ბრაზილიის ნაკრებს.

ზაგალო, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, პირველხარისხოვანი მწვრთნელი გახდა. მას დიდი წარმატებები ჰქონდა „ბოტაფოგოში", „ფლამენგოში", „ფლუმინენზეში". ზაგალომ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, მაგრამ 1974 წელს თითქმის მთლიანად დაჰკარგა იგი. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრებმა ზაგალოს ხელმძღვანელობით მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, ბრაზილიის გულშემატკივრებს ვინ დააჯერებდა, რომ მეოთხე ადგილი შეესატყვისებოდა ამ ნაკრების მაშინდელ შესაძლებლობებს. ზაგალოს საშინელი რისხვა დაატყდა, მაშინ მოარულ გრიპს „ზაგალო" დაარქვეს და თვით მას შორეულ კუვეიტში გადაბარგება მოუხდა. ახლა ვითარება შეიცვალა და ზაგალო ისევე დანიშნეს ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ ხელმძღვანელად.

**გივი გამრეკელი**

# პოეტის დიდი ღვაწლი

მწერლის პორტრეტისათვის

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების მთავარი თემა სიყვარული გახლავთ. სწორედ ეს თემა აკავშირებს მას ჰაინეს პოეზიასთან. ერთ მის წერილში („ჩემს გულთან დაახლოვებული პოეტი“) ვკითხულობთ: „მე, როგორც პოეტს, ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდას მომხვდა ჰაინეს ლექსების ნაპერწკალი, ჰოლას თქმისა არ იყოს: „აქვს სიყვარულს ერთი დიდი და შეურყეველი კანონი. ეს კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ის, ვინც გიყვარს, მუდამ გიყვარდა, გგონია, რომ ეს სიყვარული დაიბადა შენთან ერთად, რომ შენს სიცოცხლეში არ ყოფილა ისეთი წამი, როცა ის, ვინც გიყვარს, არ გყვარებოდეს, ეს ასეა, თუ მართლა და ნამდვილი სიყვარულით გიყვარს...“ და სწორედ ასეთი სიყვარულით მიყვარდა და დღესაც მიყვარს მსოფლიო სევდის მგოსანი, სიყვარულისა და დიდი გრძნობის მომღერალი ჰენრიხ ჰაინე. არ მახსოვს როდის შევხვდი პირველად იმას, რომელი მისი ლექსი წავიკითხე პირველად, როდის დაიწყო ჩემი მისდამი სიყვარული. და დღეს მგონია, რომ ის იმთავითვე იჯდა ჩემს გულში და გალობდა“.

ი. გრიშაშვილმა ზეპირად იცოდა ჰაინეს ბევრი ლექსი. მისი ერთი ლექსი თარგმნა კიდეც. საერთოდ კი, მხატვრული სიტყვის იშვიათი ოსტატი სანიმუშო მთარგმნელიც იყო. მან ბრწყინვალედ თარგმნა კრილოვას „ხარაზი და იჯარადარი“, მირზა ფათალი ახუნდოვის „პუშკინის გარდაცვალებაზე“, ოვანეს თუმანიანის „საქართველოს პოეტებს“, „ერთი წვეთი თაფლი“, „ანუში“ და სხვ. ი. გრიშაშვილი რუსი პოეტებიდან თაყვანს სცემდა პუშკინს, რასაც მისი ლექსები და წერილები („პუშკინი და ილია“, „პეტერგოფის შადრევნები“ და სხვ.) მოწმობს; ამ უკანასკნელი ლექსის ორი სტრიქონი სამუდამოდ დამამახსოვრდა: „ვინ იფიქრებდა დანტესის ლილი აიცილებდა პუშკინის ტყვიას?“

ფრიად საყურადღებოა წერილი „პუშკინის პირველი მთარგმნელები“. ი. გრიშაშვილი დაკვირვებული მკვლევარია, მისთვის დამახასიათებელია სიზუსტე. ეს ამ წერილიდანაც ჩანს; როგორც ცნობილია, ქართულად პუშკინის ლექსები ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე ითარგმნებოდა. აღსანიშნავია, რომ ი. გრიშაშვილმა 1936 წელს შეადგინა პუშკინის ლექსების ბიბლიოგრაფია (რაც ასი წლის განმავლობაში ითარგმნა). აქედან ირკვევა, რომ თითქმის არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს პუშკინის თარგმნის საქმეში.

კვლევის სიღრმით გამოირჩევა აგრეთვე წერილების ციკლი „თბილისის ისტორიისათვის“ (ლენინის მოედანი, პუშკინის ძეგლი თბილისში, ბარათაშვილის აღმართი). აქ ისტორიული ჭეშმარიტების ფარგლებში ბევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი. ძველი და ახალი თბილისის მომავალი ისტორიკოსი ი. გრიშაშვილის ამ გამოკვლევას გვერდს ვერ აუვლის.

ი. გრიშაშვილის ლექსები („ნუ გადადებ ხვალისათვის“, „რაც არ იცი, კითხე სხვას“, „მოხუცის დარიგება“ და სხვ.) აგებულია გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამებზე. „ნუ გადადებ ხვალისათვის“, რაც ახლაც შეიძლება გაკეთდეს“ (ბ. ფრანკლინი). ეს სტრიქონი პირველ ლექსში „ნუ გადადებ ხვალისათვის“.ხორცშესხმულია მხატვრული სიტყვის მადლით და ასე გგონია, ამაზე პირველად ითქვა. სწორედ ამაშია პოეტის ორიგინალობა. მინდა გავიხსენო მისი ერთი გამონათქვამი: „ხელოვნების ყველა დიდი ნაწარმოები უთარიღოა“.

1918 წელს ი. გრიშაშვილი თბილისის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა. ოთხი წლის განმავლობაში მას არც ერთი ლექცია არ გაუცდენია. იგი დისციპლინის კაცი იყო.

ცნობილ ბუკინისტს ვანო სამადაშვილს არაერთხელ უთქვამს: „როდესაც საქართველოზე, საერთოდ, კავკასიაზე დაწერილი წიგნი ჩამივარდება ხელში, ი. გრიშაშვილს გადავუნახავ ხოლმე, რაც არ უნდა დავუფასო, მაინც იყიდის, მის ლექსიკონში არ არსებობს სიტყვა „დაუკელი“.

ბუკინისტები საერთოდ, ი. გრიშაშვილისადმი განსაკუთრებული პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი. აღსანიშნავია, რომ მისი ლექსების პირველი წიგნი („ფანტაზია“) ბუკინისტმა გამოსცა. 1906 წელს დაბეჭდილ ამ პატარა კრებულში სატრფიალო ლექსების გარდა შეტანილია სოციალურ თემაზე შექმნილი რამდენიმე ნაწარმოები. მაგალითად, „თუთუნის ქარხანაში მომუშავე ქალის სიმღერა“, მაშინდელმა ცენზურამ აკრძალა, რადგან ქალები, რომლებიც „პაპიროსის ფაბრიკაში“ მუშაობდნენ, ყველა ჭლექით იყო დაავადებული.

უბანში (ხარფუხი) ჭაბუკ გრიშაშვილს „წიგნის კაცი“ შეარქვეს; მას ყველა პატივს სცემდა; ეს პატივისცემა თანდათან სახალხო სიყვარულად იქცა. მისი სახელი დღეს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად არის ცნობილი. იოსებ გრიშაშვილი სამართლიანად ითვლება ადამიანის გულის მესაიდუმლედ, დიდ პატრიოტ და ინტერნაციონალისტ პოეტად.

ვლადიმერ ჯიბუტი

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან

### ფლორენცია აღნიშნავს რუბენსის ოთხასი წლისთავს

სრულდება ოთხასი წელი დიდი ფლამანდიელი მხატვრის პიეტრო პაოლო რუბენსის დაბადებიდან (1577-1640 წწ.).

ფლორენცია, სადაც ინახება რუბენსის მნიშვნელოვანი ნახატები, თავისებურად აღნიშნავს ამ თარიღს. პალაცო პიტის აპარტამენტებში თავმოყრილი იქნება მისი ფლორენციული კოლექციები.

რუბენსი ცოტა ხნით (1600-1608 წწ.) ფლორენციაში ცხოვრობდა. დიდმა მხატვარმა მოგვიანებით თავისი შედევრთაგანი „ომის კვალი“ ფლორენციას უძღვნა.

ამ ნამუშევრის ფლორენციაში გაგზავნაზე თვით მხატვარმა იზრუნა. გარდა მედიჩების კორტეჟისა, თან აახლა თავისი თანამემამულე უესტუს სუსტერმანსი. მედიჩების კოლექციის ეს მშვენება გამოფენილი იყო პალაცო პიტიში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რუბენსის ათასზე მეტი ნამუშევარი. მათ შორის ორი ავტოპორტრეტი უფიცის გალერეიდან, მხატვრის პირველი მეუღლის — იზაბელა ბრანდტის პორტრეტი; ე. წ. „ოთხი ფილოსოფოსი“, „მადონა დელა ჩესტა“, ნიდერლანდების გუბერნატორი ქალის იზაბელა კლარა ევგენიას პორტრეტი და ზემონახსენები შედევრი „ომის კვალი“, აგრეთვე მისი ორი ცნობილი პეიზაჟი.

გამოფენაზე წარმოდგენილია კარდინალ ბენტივოლიოს ცნობილი პორტრეტი, რომელმაც რესტავრაციის შემდეგ ახალი ბრწყინვალება შეიძინა; რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრებიდან კი — „წმინდა ოჯახი“.

### ორი მედეა — მელინა მერკური და ელენ ბურსტინი

რეჟისორმა იულეს დასინმა ათენში გადაიღო ფილმი, რომლის მთავარი გმირია ორი მედეა. ფილმი გადაღებულია ევრიპიდეს ცნობილი ტრაგედიის მიხედვით.

პოპულარული ბერძენი მსახიობი მელინა მერკური ფილმში ევრიპიდეს ცნობილი დრამის გმირს — ანტიკურ მედეას ანსახიერებს, ელენ ბურსტინი კი თანამედროვე მედეას სახეს ქმნის, რომელიც დაპატიმრებულია შვილების მკვლელობისათვის. ფილმს საფუძვლად დაედო სინამდვილეში მომხდარი ამბავი ათენში (1961 წელს). ქმრის ღალატით აღშფოთებულმა ქალმა მოკლა სამი შვილი. საბერძნეთის ტრიბუნალმა ქალს სამუდამო კატორღა მიუსაჯა; ხუთი წლის პატიმრობის შემდეგ იგი შეიწყალეს და გაათავისუფლეს.

### ვიტორიო გასმანი — მეფე ოიდიპოსი

იტალიის ტელევიზიამ დადგა სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია — „ოიდიპოს მეფე“. ოიდიპოსის როლს ანსახიერებს ვიტორიო გასმანი; იტალიური პრესა იუწყებოდა, რომ ვიტორიო გასმანს ამ ნამუშევარმა კიდევ ერთი წარმატება მოუტანა.

# დაფაზე დაუხედავად

ფრანსუა ანდრე დანიკამ ფილიდორი ფრანგი მოჭადრაკე და კომპოზიტორი იყო. იგი ფრანგული კომიკური ოპერის ფუძემდებლად ითვლება. მისი ქმნილებები დღესაც წარმატებით იდგმება მსოფლიოს დიდ საოპერო თეატრებში, მაგრამ უკვდავება ფილიდორმა მაინც ჭადრაკით მოიპოვა. ფილიდორის თეორიული ნაშრომი „საჭადრაკო თამაშის ანალიზი“ პირველად 1749 წელს დაიბეჭდა და დღემდე ასჯერ გამოიცა. წიგნი ევროპის ქვეყნების მრავალ ენაზეა ნათარგმნი. როცა მე-18 საუკუნის მიწურულში ფილიდორმა ერთდროული თამაშის სეანსი სამ დაფაზე ჩაატარა, მისი თანამემამულეების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ამაში გასაკვირი თითქოს არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფილიდორი თამაშობდა... დაფაზე დაუხედავად.

ეს შემთხვევა, როგორც ადამიანის ნიჭის ფენომენალური გამოვლინების ფაქტი, ფრანგულ ენციკლოპედიაშიც კი შეიტანეს.

„ენციკლოპედიის“ ღრმად განათლებულმა შემდგენელებმა არ იცოდნენ, რომ დაფაზე დაუხედავად თამაში ახალი არ იყო. ჭადრაკის ისტორიამ უფრო ადრინდელი ანალოგიური ფაქტები შემოგვინახა. ჯერ კიდევ 970 წელს ბერძენი მოგზაური ჩელები ანცვიფრებდა ტრიპოლელებს თავისი უნარით — ჭადრაკი დაფაზე დაუხედავად, ან როგორც ამბობენ, „ბრმად“ ეთამაშა. 1266 წელს ბუცეკმა ფლორენციაში იტალიის სამ უძლიერეს მოჭადრაკეს ჩაუტარა სეანსი; აქედან ორ დაფაზე „ბრმად“ ითამაშა. მან ორი შეხვედრა მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა. შუა საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებშიც არის ცნობები „ბრმად“ თამაშის შესახებ.

დაფაზე დაუხედავად თამაშში პირველი რეკორდი ლეგენდარულმა პოლ მორფიმ დაამყარა გასული საუკუნის 50-იან წლებში. იგი ბირმინჰემის საჭადრაკო კლუბსა და პარიზის განთქმულ კაფე „რეჟანსში“ (მოჭადრაკეთა მაშინდელ მექაში) 8-10 კაცს ეთამაშებოდა „ბრმად“ და მოწინააღმდეგეებს ანადგურებდა. შემდეგი რეკორდები ეკუთვნით გერმანელ იოჰან გერმან ცუკერტორტს, ამერიკელ ჰარი ნელსონ პილსბერის, ჩეხ რიჰარდ რეტის, ალექსანდრე ალიოხინს, ამერიკელ ჯორჯ კოლტანოვსკის, არგენტინელ მიგუელ ნაიდორფს. 1969 წელს უნგრელი ოსტატი იანოშ ფლეში ბუდაპეშტში 52 (!) მოყვარულს ეთამაშა დაფაზე დაუხედავად. ი. ფლეშმა 31 პარტია მოიგო, 3 წააგო, ხოლო 18 ყაიმით დაამთავრა.

დაფაზე დაუხედავად წარმატებით თამაშობდა ჩვენი თანამემამულე, ნიჭიერი მოჭადრაკე ანდრია დადიანი (ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟი). სხვათა შორის ა. ალიოხინმა ძალზე ლამაზი სამსვლიანი ამოცანაც კი შეადგინა „ბრმად“. მსოფლიო ჩემპიონს ამოცანა წინასწარ არ ჰქონია მოფიქრებული, რადგან იგი ჭადრაკის მოყვარულთა შეკვეთით შექმნა.

განუმეორებელი მიღწევა მაინც ჰ. პილსბერს ეკუთვნის, ამერიკელმა დიდოსტატმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი 34 წლის გარდაიცალა 1906 წელს) 49 სეანსი ჩაატარა დაფაზე დაუხედავად ჰ. პილსბერმა 676 პარტიიდან 456 მოიგო, მხოლოდ 75 წააგო და 145 ყაიმით დაამთავრა.

„ბრმად“ თამაში მოჭადრაკეს უაღრესად დიდ ფიზიკურ და ნერვიულ ძალებს ართმევს. ჭადრაკის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ჰ. პილსბერის ავადმყოფობის განვითარება მეტად დააჩქარა იმ უამრავმა სეანსმა დაფაზე დაუხედავად, რომელსაც უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული ამერიკელი დიდოსტატი ლუკმაპურისათვის მართავდა.

საბჭოთა კავშირში დაფაზე დაუხედავად თამაშის სეანსის ჩატარება რეკომენდებული არ არის, თუმცა ნებისმიერ ოსტატს შესწევს მისი უნარი.

გივი ძინძიბაძე

# ძველი ზანდუკის საიდუმლო

ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე — პელ მელზე ძველი, მუქი ფერის შენობა „ტარკლეიზ ბანკის“ განყოფილებაა; როდესაც იქ რემონტი დაიწყო, ადმინისტრაციამ მიაღწია სარდაფამდე, სადაც სპეციალურად ინახებოდა ყუთები ძველი ანდერძებით და ქაღალდებით. ასი წლის მანძილზე სეიფში არავის შეუხედავს. ამ განყოფილების დირექტორი ქრისტეფორ ნორმან ბატლერი ვარაუდობდა, რომ მივიწყებულ სეიფში შეიძლება ყოფილიყო ნივთები, რომლებიც ისტორიულ საფასურს წარმოადგენდა. მან მოიწვია ბანკის არქივარიუსი და ყუთები გახსნა; ზოგიერთი ყუთი გატეხეს. ტყავში გახვეულ პატარა ზანდუკზე მათ ნახეს ბრინჯაოს ტაბულა სკრუპ დევისის სახელით. ქრისტეფორ ნორმან ბატლერი მიხვდა, რომ ზანდუკში რაღაც საინტერესო ინახებოდა, რადგან „მორლანდ რენსონის ენდ კომპანიის“ ბანკის მომსახურებით, რომელიც ერთ დროს ამ შენობაში იყო, დიდი ინგლისელი პოეტი ბაირონი სარგებლობდა; სკრუპ დევისი კი მისი ახლო მეგობარი გახლდათ.

ბატლერს ზანდუკიდან ფრთხილად ამოჰქონდა სკრუპ დევისის თეთრი ხელთათმანები, გადაუხდელი ანგარიშები, ფურცლები, რომლებზეც დაწერილი იყო აფორიზმები ინგლისურ და ლათინურ ენაზე, მოთხოვნები ვალების გადასახადზე (7 ათასი ფუნტი), სავიზიტო ბარათები, მათ შორის იყო „მისტერ მერეი ოლდემარ-სტრიტის“ — ბაირონის გამომცემლის მისამართი, რომლის მემკვიდრეები ახლაც ფლობენ ამ გამომცემლობას ამავე სახელითა და მისამართით.

ყოველივე ეს ძალზე საინტერესოა ეპოქის დასახასიათებლად, მაგრამ განსაკუთრებული ისტორიული ან ლიტერატურული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, არ აქვთ. მიუხედავად ამისა, ქრისტეფორ ნორმან ბატლერი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა. ზანდუკი ნახევრად იყო დაცლილი. ზანდუკის მეორე ნახევარში აღმოჩნდა ის, რასაც ინგლისურმა პრესამ „საუკუნის ლიტერატურული აღმოჩენა“ უწოდა.

ცნობილია, რომ ბაირონისა და სკრუპ დევისის დაახლოება მოხდა 1811 წელს, მათი საერთო მეგობრის ჩარლზ მეტიუზის სიკვდილის შემდეგ. თავის მეგობრის ჰობჰაუზისადმი გაგზავნილ წერილში (1816 წლის 23 ივნისს) ბაირონი წერდა, რომ დევისი ბევრს აგებდა აზარტულ თამაშებშიო. დაახლოებით ამავე დროს ბაირონი ამთავრებს „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერას და სიმღერის პირველ ვარიანტს ცალკე ფურცლებზე ათეთრებს. ჯეინ კლერმონდი, პოეტის მეგობარი, 4 ივლისს იწერს მესამე სიმღერას. ეს ხელნაწერი სექტემბრის დასაწყისამდე ინახება ბაირონთან, სანამ ჯეინი არ აკეთებს მეორე ეგზემპლარს პერსი ბილი შელისათვის, რომლის აზრს ჯეინი და თვით ბაირონი ძალზე აფასებდნენ. გადათეთრებულ ცალს ბაირონი სკრუპ დევისს აძლევს და სთხოვს, რომ გადასცეს იგი გამომცემელ ჯონ მერეის. შელი პორტსმუნტში ჩამოვიდა 11 სექტემბერს და ჩააბარა მერეის „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერის თავისი კოპიო. ხოლო სკრუპ დევისისათვის გადაცემული კოპიო უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ სკრუპ დევისმა, რომელიც ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა, იგი დაკარგა.

1820 წელს დევისი, რათა თავი დაეღწია კრედიტორებისაგან, იძულებული გახდა, საჩქაროდ დაეტოვებინა ინგლისი. მან ჩაყარა ქაღალდები ზანდუკში და შესანახად „მორლანდ რენსონის ენდ კომპანიას“ ბანკში ჩააბარა, რომელიც გასული საუკუნის დასასრულს სხვა ოც ბანკთან ერთად „ტარკლეიზ ბანკში“ გაერთიანდა.

სკრუპ დევისი 1852 წელს პარიზში გარდაიცვალა. შესაძლებელია, მას დაავიწყდა კიდეც რაც ინგლისში დატოვა. და აი, გაიხსნა სკრუპ დევისის ზანდუკი; რომელსაც ინგლისის სამეფო კომისიის მდივანმა მარტინ დევისმა „თავისებური ლიტერატურული პომპეი“ უწოდა.

ზანდუკში ინახებოდა ბაირონის უცნობი წერილები, დაწერილი სკრუპ დევისის მისამართით; დათარიღებული 1809 წლის 22 ივლისით. 1817 წლის 7 მარტის წერილში ბაირონი სკრუპ დევისს წერს, რომ სწავლობს სომხურ ენას. დაახლოებით ამ დროს ემთხვევა დევისის მიერ „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერის ხელნაწერის დაკარგვა. როგორც ჩანს, ეს ფაქტი დიდსულოვან ბაირონს სრულიად გადაავიწყდა. ზანდუკში აღმოჩენილი უკანასკნელი წერილი დათარიღებულია 1819 წლის 26 იანვრით, რომელიც ვენეციიდან არის გამოგზავნილი. ბაირონი წერს რომ დაამთავრა „დონ ჟუანის“ მეორე სიმღერა...

სკრუპ დევისის ზანდუკში აღმოჩენილ იქნა მთავარი საუნჯე — „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერა, სწორედ ის, რომელიც დევისს გამომცემელ მერეისათვის უნდა გადაეცა. იგი დაწერილია ბაირონის ხელით, მისივე უბის წიგნაკში.

მერაბ კალანდაძე.

# თითქმის დაუჯერებელი

□

სიცილიის ერთ-ერთ ციტრუსების პლანტაციაში გოლიათი ლიმონი დამწიფდა.

სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ასეთი დიდი ლიმონი არასოდეს არ ყოფილა მსოფლიოში.

რეკორდსმენი ლიმონის წონა 3 კილოგრამი და 300 გრამია.

□

ინდოეთის ერთ-ერთი ტომის — ყარაიბის ქალებს ორნაირი სასაუბრო ენა აქვთ: კაცებთან და ქალებთან.

კაცებთან სასაუბრო ენა ყველასათვის გასაგებია, ერთმანეთთან კი ყარაიბელი ქალები კაცებისათვის გაუგებარი სიტყვებით საუბრობენ.

□

სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ თუთუნის მოყვარულები მსოფლიოში ყოველ წუთში საშუალოდ ეწევიან... 190 ტონაზე მეტ თამბაქოს.

□

იაპონიის რკინიგზის ერთ-ერთმა ფირმამ ამას წინათ გამოუშვა გრძელი სამგზავრო ბილეთები.

ამ რეკორდსმენი ბილეთების სიგრძე... 80 სანტიმეტრია.

□

როგორც იტალიური ჟურნალი „ტუტოსკუოლა“ იუწყება, შარშან იტალიის სხვადასხვა საავადმყოფოში მოხვედრილი ნარკომანების 20 პროცენტზე მეტი... სტუდენტები და არასრულწლოვანი მოსწავლეები იყვნენ.

□

ტორონტოში ამას წინათ გამართულ მარათონულ რბენაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ იმ სპორტსმენებმა, რომლებსაც გადატანილი ჰქონდათ... მიოკარდის ინფრაქტი.

ასპარეზობაში სპორტსმენებმა 3-4 კილოგრამი დაიკლეს და თავს ჩინებულად გრძნობდნენ.

□

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მექსიკის დედაქალაქი მეხიკო ყოველ წელიწადში... დაბლა იწევს 15 სანტიმეტრით.

თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ძირს დაშვება, როგორც ვარაუდობენ, 50 წლის შემდეგ მეხიკო მთლიანად დაინგრევა.

□

პოლონეთში დაამზადეს კარაქი, რომელიც განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს... მსუქან ადამიანებში.

ეს დიეტური კარაქი, ჩვეულებრივ კარაქთან შედარებით, 61 პროცენტით ნაკლებ ცხიმს შეიცავს და საკმაოდ კარგი გემო აქვს.

□

ზოგიერთი სწავლული ვარაუდობს, რომ ზღვებსა და ოკეანეებში დღემდე ჩაძირული ყველა ხომალდის ტრიუმებში ინახება კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე მოპოვებული ოქროს... მერვედი ნაწილი.

□

ოკლახომას შტატში (აშშ) ამას წინათ გამოსცეს კანონი, რომელიც კრძალავს ლუდი მიყიდონ ვაჟებს 21 წლემდე, ქალებს... 18 წლამდე.

ასეთ უცნაურ კანონს საფუძვლად დაედო ის, რომ ლუდით მთვრალი ვაჟები 21 წლამდე თურმე უფრო ხშირად ახდენენ ავტოავარიებს, ვიდრე 21 წლის ასაკამდე ლუდით მთვრალი ქალები.

□

მინიატურული ბეჭდვის ერთ-ერთი საოცრებაა 1687 წელს გამოცემული „ლათინური ტრაქტატი“.

ეს წიგნი თავისუფლად შეიძლება შევახვიოთ მოზრდილ... საფოსტო მარკაში.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თარაზულად:** 1. პირველი ქართველი მომღერალი ქლი; 8. ესპანური სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 9. საბჭოთა პიანისტი; 10. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი; 11. ლათინური ანბანის მეათე ასო; 13. სამოციანი წლების ინდური მუსიკალური სისტემის ფუძემდებელი; 17. გერმანელი მწერალი, წიგნის „საქართველოს გულის“ ავტორი; 18. მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქი; 19. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 20. ქართველი კომპოზიტორი: 22. ქართული ხალხური ცეკვა; 24. სიტყვის ძირში ჩართული აფიქსი; 27. იტალიელი მომღერალი; 29. ნოტების თავზე დასმული რკალისებური ნიშანი; 30. ბალეტ „მთების გულის“ ლიბრეტოს თანაავტორი; 31. ქართველი მითოლოგიური გმირი; 32. მუსიკალური საკრავი.

**შვეულად:** 2. ა. რუბინშტეინის ნაწარმოები; 3. ბეთხოვენის № 21 სონატის სახელწოდება; 4. ქართული ხალხური ცეკვა; 5. სიგრძის საზომი ერთეული ძველად; 6. საბჭოთა მომღერალი; 7. წყალხმელეთა ცხოველი; 12. ინდონეზიური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 13. ინგლისელი კომპოზიტორი; 14. ფრანგი პოეტი და დრამატურგი; 15. ხელოვნების ნაწარმოების საჯაროდ შემსრულებელი; 16. ადგილის საერთო ხედი; 21. რ. შტრაუსის ოპერა; 23. ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 25. იტალიელი დირიჟორი; 26. გუნდური საგალობელი; 28. დამუხტული ატომი; 29. კარელიის ხალხური სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი.

კროსვორდი შეადგინა ა. ხერხეულიძემ.

## ჟურნალ „დროშის“ № 11-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ლენინი. 3. ბანკი. 6. „ისკრა“. 7. ქარგა. 8. სტალინი. 10. ინდოეთი. 13. პოეზია. 15. კოვბოი. 18. ავუარი. 20. ეკლოგა. 23. ტოლიატი. 26. ენგელსი. 27. ესოპე. 30. ბომბი. 32. ახსნა. 33. იონი. 34. ლაზი. 35. ბორდო. 36. კლასი.

**შვეულად:** 1. ლონდონი. 2. „ნინა“. 3. ბამი. 4. იქსი. 5. ბაგე. 8. სოლო. 9. ლენინგრადი. 11. ორჯონიკიძე. 12. ინრო. 13. პუმა. 14. ეკიუ. 16. ბოდო. 17. იოტა. 19. ვიეტნამი. 21. გუმიგუტი. 22. მარქსი. 24. ლიე. 25. იდეა. 26. ელბა. 27. ლუი. 29. საიბ. 31. ბელი.

გარეკანის პირველ გვერდზე: საიუბილეო გამოფენიდან. გ. შველიძე — „ჩემი იმერეთი“, ო. ჩუბინიძე—„წითელი დროშა საქართველოში“.
მეოთხე გვერდზე: გ. თოიძე — „შემოდგომა კახეთში“, ზ. ნიჟარაძე — ფრაგმენტი „ქათმების ფერმა“.

გადაეცა ასაწყობად 10. 11. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. 12. 77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 51.860. შეკვ. 3335. უე 00891. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# დავით კვაჭაძე შინ და გარეთ











- დავით კვაჭაძე — ევროპის პირველი ხელთათმანი.
- სტუმრად მხატვარ კობა გურულთან.
- დედა და შვილები — ალეკო, დავითი, როლანდი.
- ჩემპიონის ძმა როლანდი მკაცრი მწვრთნელია...
- ჩემპიონი პატარა გულშემატკივრებთან.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76056